შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქრთამის აღებისათვის

ნაშრომი შესეულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: სალომე მაკარაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ასოცილებული პროფესორი ნუგზარ თევდორაძე

თბილისი
2020

შინაარსი

ანოტაცია----------3

Anotation----------4

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა----------7

თავი II. სამოხელეო დანაშაული და ქრთამის ცნება----------9

2.1 სამოხელეო დანაშაულის ცნება----------9

2.2 ქრთამის ცნება----------11

თავი III. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული საფუძვლები----------16

3.1 ქრთამი ძველ ქართულ სამართალში----------16

3.2 სხვა ქვეყნის კანონმდებლობის გავლენა ძველ ქართულს სამართალში----------

18

თავი IV. ქრთამის აღების შემადგენლობა----------21

4.1.ქმედების ობიექტური შემადგენლობა----------21

4.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა----------28

თავი V. ქრთამის აღების მაკვალიფიცირებლი გარემოებები----------31

5.1. ქრთამის აღება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ

და გამოძალვით----------31

5.2. ქრთამის აღება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით----------35

5.3. ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული

ჯგუფის მიერ----------36

5.4. ქრთამის აღება მექრთამეობისთვის მსჯავრდებულის მიერ და არაერთგზის----------

38

თავი VI. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლა საზღვარგარეთის ქვეყნებში ----------41

6.1 ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აშშ-ში----------41

6.2 ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება დიდ ბრიტანეთში,

საფრანგეთსა და კანადაში----------43

6.3 ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება გერმანიასში, იტალიასა

და ფინეთში----------45

თავი VII. ქრთამის აღების სტატისტიკა----------48

თავი VIII. კვლევის შედეგი----------50

დასკვნა----------53

გამოყენებული ლიტერატურა---------- 55

ანოტაცია

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისთვის. ნაშრომი შედგება ლიტერატურის მიმოხილვისგან, შესავლის, რვა თავისგან და ქვეთავებისაგან. ასევე კვლევის შედეგისაგან და დასკვნისაგან, რომელთაც ბოლოს ასევე მოყვება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ლიტერატურა რომელიც ნაშრომის მუშაობისას გამოვიყენე. მეორე თავში განხილული მაქვს სამოხელეო დანაშაულისა და ქრთამის ცნება. მესამე თავი ეთმობა ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიულ საფუძვლებს, რიმელსაც ორი ქვეთავი აქვს. რაც შეეხება, მეოთხე თავს თავისი ქვეთავებით, განხილულია ქრთამის აღების შემადგენლობა. მომდევნო, მეხუთე თავში ჩაშლილი ქვეთავებით განხილულია ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელ გარემოებები. ხოლო, ნაშრომის მეექვსე და მეშვიდე თავებს, რომლებიც ასევე ქვეთავებისგან შედგება ისინი ეხება ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლას საზღვარგარეთის მაგალითზე, დანაშაულის სტატსტიკას საქართველოში. ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევის შედეგი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

Annotation

My master's thesis deals with criminal liability for taking bribes. The paper consists of a review of the literature, an introduction, eight chapters and subsections. As well as the results of the research and the findings, which are also followed by a list of used literature.

The first chapter of the paper provides the literature that I used when working on the paper. In the second chapter, I discuss the concept of bribery and bribery. The third chapter is devoted to the historical foundations of the struggle against bribery, with Rimmel having two sub-chapters. As for the fourth chapter with its subsections, the composition of taking bribes is discussed. The following, fifth chapter, discusses the qualifying circumstances for taking bribes. And in the sixth and seventh chapters of the paper, which also consist of subsections, they deal with the fight against bribery on the example of abroad, the statistics of crime in Georgia. At the end of the paper, the results of the research, the conclusion and the literature used are given.

შესავალი

საქართველო დიდი წარსულისა და გამოცდილების ქვეყანაა, რომელიც მუდმივად განიცდიდა და დღემდე განიცდის ცვლილებებსა და რეფორმებს. წარმოდგენილ ნაშრომში, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით და არამარტო თანამედროვე, განვიხილავ საქართველოს კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს - სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის.

განვიხილავთ ქრთაის აღებასთვის ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ჩამოყალიბებულ კანონმდებლობას, თუ როგორ ხდებოდა მისი რეგულაციები, რა სადამსჯელო ღონისძიებებს, ხერხებსა და მეთოდებ იყენებდნენ ქრთამი წინააღმდეგ.

საზოგადოების უპირველესი მოთხოვნილებაა, ჰქონდეს ნდობა იმ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოს ნორმელური ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობას.

სამოხელეო დანაშაულთა შორის მექრთამეობა ყველაზე მძიმეა, იგი კორუფციის ტიპურ გამოვლინებას წარმოადგენს და უდიდეს ზიანს აყენებს სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას, მათ სტუქტურასა და ავტორიტეტს. მექრთამეობის ყოველი შემთხვევა ბადებს მოქლაქეებში უიმედობას, დაუცველობის განცდას, უნდობლობას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი. სწორედ ამ საკითხებზე იქნება საუბარი ნაშრომში.

როგორც უკვე აღვნიშნე, კორუფციული დანაშაული დასაბამიდან კაცობრიობის თანმდევი სენია, რომელიც ვლინდება მექრთამეობაშიც. ფაქტებით დასტურდება რომ მექრთამეობა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ყოფაზე. მისი თანმდევი ნეგატიური შედეგი არათუ ეწინააღმდეგება საზოდაგობის წინსვლასა და პროგრესს, არამედ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უშიშროებასაც.

თემის აქტუალურობა: წლების განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა ქართული კანონმდებლობის ცვლილებები, ასევე დანაშაულთა გამოვლენის, აღმოფხვრის, თავიდან აცილების, დასჯის და ა.შ გზების ცვლილება, მათ შორის ეს ცვლილება ეხებოდა ქრთამის აღების დანაშაულსაც.

ქრთამის აღება ყველაზე უფორ მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულთა თავში. ყველა დროში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართველობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სწორ და გამართულ მუშაობას.

ქრთამი დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოებრიობასა და ქვეყნის განვითარებაზე. იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, იგი ხშირად არის დაკავშირებული სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენასთან.

ქრთამის აღების დანაშაულს ახასიათებს სპეციალური ამსრულებელი- მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. ქრთამის აღება ფორმალური დანაშაულს მიეკუთვნება.

კვლევის მიზანი: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წინა პლანზე იმ საკითხის წამოწევა თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის სტაბილურობის დარღვევაზე, სახელმწიფოებრიობის პრესტიჟზე, სახელმწიფოს სახელსა და წინსვლაზე ქრთამს. ნაშრომის მიზანია თემის კვლევა ისტორიული საფუძვლებიდან. ასევე იმ საკითხზე ყურადღების გამახვილება თუ როგორია ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და რა სტატისტიკა გვაქვს ქვეყანაში.

კვლევის ამოცანა: აღნიშნული მიზნების მისაღწევად კი ნაშრომში წარმოჩენილია შემდეგი ამოცანები:

- ქრთამის აღების შემადგენლობის ანალიზი;
- ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელი გარემოებების გაანალიზება;
- ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კანონმდებლობის გაანალზება;
- ქრთამის აღების დანაშაულის სტატისტიკის განხილვა.

კვლევის მეთოდები: ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაჭრისათვის, სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი თემის პრობლემის გაანალიზებისას გამოყენებულია ისტორიული, სტატისტიკური, შედარებით–სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მეტ-ნაკლებად, ობიექტურად წარმოჩინდეს საკვლევი თემის აქტუალურობა თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში.

ისტორიული მეთოდი დამეხმარა გამეანალიზებინა გასული საუკუნეებიდან დღემდე ქრთამის აღების ისტორიული განვითარება. სტატისტიკური მეთოდით თემაში გამოყენებული ინფორმაცია, დაგვეხმარა წარმოგვეჩინა თუ რამდენად ხშირია დღესდღეობით ქრთამის აღების, როგორც დანაშაულის რიცხვი. რაც შეეხება შედარებით მეთოდს, იგი აუცილებელია, მოცემულ თემაზე მუშაობისას, რათა შედარება მოვახდინოთ ქართულ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობას შორის, კერძოდ, სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ვიცით ქრთამის აღებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სს კოდექსისი 338-ე მუხლით. თემის სრულად და ობიექტურად გამოკვლევისათვის საჭირო გახდა მასალის დამუშავება და იმ ავტორთა შრომების გამოყენება რომელშიც ჩვენი თემის ირგვლივ მოიპოვება ინფორმაცია. კერძოდ: გამოვიყენეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დაგვეხმარა იმის გამოკვლევაში თუ რას წარმოადგენს უშუალოდ ქრთამი, ქრთამის აღების ცნების და სახეების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ავტორთა კოლექტივის სისხლის სამართლის კერძო ნაწილი მე-2 წიგნი, სადაც ქრთამი განარტებულია ფართოდ, დაწყებული მისი ისტორიული საფუძვლებიდან დამთავრებული ქრთამის მატერიალური, ფორმალური საფუძვლებით და კვალიფიკაცით.

გარდა აღნიშნული კომენტარისა თემის შინაარსის სრულყოფილად გადმოსაცემად გამოყენებულია ავტორთა კოლექტივის სისხლის სამართლის პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. გვენეტაძე და სხვების, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.

ასევე რაც ნებისმიერი თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია ეს არის დანაშაულის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, რაშიც დამეხმარა სხვა ლიტერატურებთან ერთად ავტორთა კოლექტივის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებია, გ. მამულაშვილი და სხვების, სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი და ტურავას სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცება.

ნაშრომში გამოყენებულია თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. სადაც იდეალურადაა აღწერილი საქართველოს სამართლებრივი სისტემა. დიდი წვლილი მიუძღვის თ.წერეთლის არაერთ ნაშრომს საქრთველოს დღევანდელ სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებშიც.

ქრთამის ისტორიული განვითარების უკეთ გადმოსაცეად გამოვიყენე ლ.აბრამიშვილის უქრთამო პატიოსანი მოსამართლის სახე ძველი ქართულ სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია. ასევე ავტორთა კოლექტივის ნაწილი. ს.ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ლ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული. ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, დისერტაცია სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ასევე ნაშრომშო რამოდენიმე აბზაც მაქვს გამოყენებული ჯ.ყურაშვილის ნაშრომიდან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემა „კორუფციული დანაშაული ძირითადიწარმომქმნელი ფაქტორები“

ქრთამის საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე განსახილვლად ძირითადად გამოვიყენე ინტერნეტი და საერთაშორისო ორგანიზაციის Transparency international-ის მიერ გამოქვეტნებული უცხოური სტატია რომელიც გადმოვთარგმნეთ ქართულად.

რაც შეეხება სტატუსტიკა, ნაშრომში გამოყენებულია ბიზნეს მედიას ინტერნეტში არსებული სტატისტიკა, ასევე შინაგან საქმეთა სამნისტროს მონაცემები სახემწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტების შესახებ, ასევე ზოგადად სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა, საქრთველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალის სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემები.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ნაშრომში გამოყენებეულია სხვა ბევრი სამეცნიერო ნარომი და ლიტერატურა რათა ნაშრომი ყოფილიყო, საინტერესო, მრავალფეროვანი და გამოყენებულიყო სხვადასხვა ავტორთა განმარტება, მოსაზრება, შეხედულება და ა.შ. რამაც ზოგადად დიდი გავლენა იქონია თემის გამართვაში. თემის კვლევისას, სხვადასხვა ნაშრომელოსა და მოსაზრებების გაცნობისას ჩამოვაყალიბე მოსაზრებები და გავაკეთე დასკვნები, რომელიც გადატანილი მაქვს ნაშრომში.

თავი II. სამოხელეო დანაშაული და ქრთამის ცნება

2.1. სამოხელეო დანაშაულის ცნება

სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, ჩადენილია, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებითა და საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.

სამოხელეო დანაშაულის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც დაკავშირებულია სახლემწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორი ფუნქციონირებისთვის. ამასთან, სახელმწიფო აპარატის ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მთელი მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე მართველობის ორგანოებსაც.

სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ამსრულებლის სწორი განსაზღვრა, ვინაიდან სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი სპეციალურია, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

კანონმდებლობის საფუძველზე მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც იმყოფებიან საჯარო სამსახურში, ანუ სახელმწიფო და აგდილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ასრულებენ საჯარო მოსამსახურის ფუნქციას.

სახელწიფო თანამდებობა ეს სახელმწიფოს ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც განსაზღვრავს მოქალქის ადგილს და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისტებულ მოვალეობებს.

საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელწიფო ან ადგილობრივი თვთმართველობის დაწესებულებაში.

მოხელე არის პირი, რომელიც აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეებად.

სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის ასაკი განსხვავებულია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, სახელმწიფო მოხელედ ჩაითვლება საქრთველოს ქმედუნარიანი მოქალაქე

21 წლის ასაკიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობის მოხელედ კი პირი 18 წლის ასაკიდან.[1]

მოხელესთან გათანაბრებული პირი შეიძლება იყოს პირი, თუ იგი სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ერთჯერად ან მოკლევადიან უფლებამოსილებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე. მხოლოდ მოხელის ფუნქციის ფაქტობრივი შესრულება, სათანადო იურიდიული გაფორმების გარეშე, გამორიცხავს დამნაშავის ქმედების სამოხელეო დანაშაულით კვალიფიკაციას.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 და 2010 წლებში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით გაფართოვდა სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე.

სამოხელეო დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნას დაემატა მესამე ნაწილი, რომლის თანახმადაც კოდექსის 338-ე (ქრთამის აღება) და 339[1]-ე (ზეგავლენით ვაჭრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულების კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახოციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.[3]

თინათინ წერეთელი თავის ნაშრომში „სახელწიფოსა და სამართლის კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქრთველოში კორუფციულ, იგივე სამოხელეო დანაშაულს განმარტავს, როგორც რთულ სოციალურ მოვლენას, რომელიც უძველესი დროიდან აღმოცენდა და დღესაც არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ფართო გაგებით კორუფცია არის სოციალური მოვლენა, რომელიც ზიანს აყენებს მართველობის საჯარო აპარატს, რაც გამოიხატება ხელისუფლების გარყვნაში, სახელმწიფო ასევე მუნიციპალურ და სხვა საჯარო პირთა მიერ უფლებამოსილების, სამსახურეობრივი მდგომარეობის, დაკავებული

[1] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 181

[2] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 184-185

[3] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 187-188

თანამდებონის სტატუსისა და ავტორიტეტის ანგარებით განზრახ ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრების ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების მზნით. კორუფციულ დანაშაულს დღეს შეიძლება დარწმუნებით ვუწოდოთ ტრადიციული და მეტად გავრცელებული დანაშაული ყველა დანაშაულთაგან, რომელიც არსებობს არა მხოლოდ ჩვენ სახელმწიფოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, იქნება ეს ნაკლებად თუ მეტად განვითარებული ქვეყნები.

კორუფცია არის - თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ქრთამის მიცემა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, კომერციული მოსყიდვა ან სხვა უკანონო მოქმედება, თანამდებობის პირის მიერ საზოგადოებისა და სახელმწიფო ლეგიტიმური ინტერესების საწინააღმდეგოდ, რათა მიიღონ სარგებელი ფულის, ფასეულობის, ან სხვა ქონების სახით, ასევე საკუთრების უფლების მიღება საკუთარი თავის ან მესამე პირებსი სასარგებლოდ.

კორიფციის ბევრად უფრო ფართო განმარტებას იძლევა ევროსაბჭოს დისციპლინური ჯგუფი. მათი აზრით, კორუფცია წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობაზე და კერძო სექტორში მომუშავე პირთა დამოუკიდებული აგენტების და სხვა სტატუსის მქონე მოსამსახურეთა მექრთამეობას ან მათ მხრიდან ნებისმიერ სხვა ისეთ არამართლზომიერ ქმედებას, რასაც თან სდევს დარღვევები მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას და მიზნად ისახავს თავიანთვის ან მესამე პირთათვის უკანონო სარგებლის მიღებას.[4]

კორუფციას დღესდღეობით თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ, ტრადიციული და მეტად გავრცელებილი დანაშაული.[5]

თომას ჰობსი წერდა: კორუფცია „არის ფესვი, რომელიც არსებობს ყველგან და ყოველთვის და უგულვებელყოფს კანონს ნებისმიერ დროს, ყველა სახის ცდუნებასთან ერთად.“

2.2. ქრთამის ცნება

კორუფციული/სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა ქრთამის აღება. ქრთამის აღება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა. ასევე, ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე

[4] თ. წერეთელი. სახელმწიფოსა და სამართლოს კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, გვ. 257

[5] Лекция, Понятие и общая характеристика коррупции, https://kpfu.ru/docs/F769475982/2_Xalil_korub.pdf.

ქმედების გახორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, ასეევე განახორციელოს სამსახურეობრივი მფარველობა.[6]

ქრთამი ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულებს შორის. ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროს არსებითი გარდაქმნის პერიოდში, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობისა და ცივილიზებული ეკონომიკის განვითარების დროს სოციალური სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სწორ და გამართულ მუშაობას. საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობასა და სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა.

დამნაშავეობა შეიჭრა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ სფეროში, მათ შორის, სახელსუფლებო სტრუქტურებში, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა საქმიანობაში. რაც ძირს უთხრის მათ პრესტიჟსა და ავტორიტეტს საზოგადოებაში, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქრთამით შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს.

ქრთამის აღების, როგორც დანაშაულის, საშიშროება იმითაც არის განპირობებული, რომ იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას, ამუხრუჭებს ეკონომუკური განვითარების პროცესს, ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ საფუძველს. ამასთან, იგი ხშირად დაკავშირებულია სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენასთან.

ქრთამის აღება კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური სახეა. კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლიც მიღებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 27 ოქტომბერს, კორუფცია საჯარო სამსახურში განმარტებულია, როგორც თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღებისა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.[7]

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებსა და აქტებში არ არის კორუფციის ერთიანი განმარტება, თუმცა ყველგან აღნიშბულია, რომ მექრთამეობა კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა.

„საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში“ კორუფცია განმარტებულია როგორც საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან

---

[6]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999

[7]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 210

ჯგუფური გამორჩენის მიზნით. ამ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ მისი ტიპური გამოვლინებებია მექრთამეობა, საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება კერძო ინტერესებისათვის, ინტერესთა კონფლიქტი და სხვა.[8]

რაც შეეხება უშუალოდ ქრთამის ცნებას - მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ან თუ მის თანამდებობრივ ავტორიტეტს შეეძლო ხელი შეეწყო ამგვარი მოქმედებისთვის, აგრეთვე, მის მიერ სამართლებრივი მფარველობის განხორციელება.

რა აროს სამოხელეო დანაშაული? ამ კითხვაზე ამჟამად, კანონმდებელი სამოხელეო დანაშაულში სხვადასხვა დანაშაულს ადგენს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და სოციალრად საშიში არის მექრთამეობა. კორუმპირებულობა - ზოგადად ფულით ან სხვა მატერიალური სიკეთით ვინმეს მოსყიდვას ნიშნავს.[9] ქრთამის მაგალითზე, აღსანიშნავია, რომ სამოხელეო დანაშაულის პროცესში ყოველთვის ჩართულია ორი მხარე. ერთი მხარე არის ქრთამის ამღები, მეორე მხარე არის ქრთამის მიმცემი. ასევე მესამე მხარეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროცესში - ეს არის შუამავალი.

ქრთამის მიმცემი - არის ის პირი, რომელიც უზრუნველყოფს ქრთამის მიცემას და სთავაზობს გარკვეულ სარგებელს, იმის სანაცვლოდ, რომ გამოიყენოს იმ პირის უფლბამოსილება საკუთარი მიზნებისთვის. სარგებელი შეიძლება იყოს ფულადი თანხა, სიმდიდრე, მომსახურება და სხვა.[10]

ქრთამის ამღები - შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, სახელმწიფო ან მუნიციპალური თანამშრომელი, ასევე შეიძლება იყოს არა საჯარო დაწესებულების არამედ ნებისმიერი კერძო დაწესებულების თანამშრომელი რომელიც მის უფლებაოსილებას დაინტერესებულ პირებს „ჰყიდის“. მისგან შეიძლება ველოდოთ გარკვეული მოქმედების შესრულებას, ისევე როგორც მის შეუსრულებლობას, ინფორაციის გაცემა არ გაცემას და ა.შ. ამავდროულად, მის კომპეტენციაში შედის შეასრულოს მოთხოვნები დამოუკიდებლად ან ხელი შეუწყოს სხვის მიერ მოთხოვნის შესრულებას, თავისი პოზიციის, გავლენისა და ძალის გამოყენებით.

---

[8] ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 211

[9] თ. წერეთელი, სახელმწიფოსა და სამართლის კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, გვ.257

[10] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 225

შუამავალი - არის ერთ-ერთი მხარის რწმუნებული, რომელიც მხარეებს შორის მოლაპარაკებებს აწარმოებს, ანუ შუამავლის ფუნქციებს ასრულებს. შუამავალი მოქმედებს ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამღების მითითებით, მათი სახელით ასრულებს ძირითადად ტექნიკურ დავალებას. მისი როლი შემოიფარგლება იმით, რომ ის ეხმარება მათ გააცნობიერონ ის განზრახვა, რომელიც წარმოეშვათ ქრთამის მიცემის ან ქრთამის აღების დროს, დანაშაულის ჩასადენად.

მექრთამეობა ზოგადი ცნებაა და მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ დანაშაულს - ქრთამის აღებას და მიცემას. ვერ დავეთანხმებით სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემი ერთი და იმავე დანაშაულის თანაამსრულებელია. მექრთამეობა კი არის ერთიანი, რთული, ორმხრივი დანაშაული - ქრთამის მიცემა-აღება.[11]

მართალია, ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა მჭიდროდ არის ერთამანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ ორივე დამოუკიდებელი დანაშაულებს წარმოადგენენ. ისინი მოთავსებულნი არიან სისხლის სამართლის სხვადასხვა მუხლებში, ობიექტური მხრივ ეს დანაშაულები ერთმანეთისგან განსხვავებულ ქმედებებში გამოიხატება: ქრთამის ამღების მიერ ჩადენილი დანაშაული მის სამსახურეობრივ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, რასაც ვერ ვიტყვით ქრთამი მიმცემზე. გარდა ამისა, ქრთამის აღების ამსრულებელი სპეციალურია. იგი აუცილებლად მოხელე უნდა იყოს. ქრთამის მიცემის ამსრულებელს ეს ნიშანი არ ახასიათებს.

ქრთამის მიცემის შესახებ მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია სამოხელეო დანაშაულთა თავში და მოთავსებულია იმ მუხლის გვერდით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისთვის. ეს მაშინ, როცა, ქრთამის მიცემის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხვაუნარიანი პირი და არამხოლოდ მოხელე. კანონმდებლის ამგვარი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებებით უნდა აიხსნას და არა იმით, რომ ქრთამის აღება და მიცემა ერთიან, რთულ, ორმხრივ დანაშაულს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის მართებულობაზე არც ის გარემოება მიუთითებს, რომ ქრთამის აღება და მიცემა გაერთიანებულია მექრთამეობის ერთიან ცნებაში. როგორც აღნიშნული იყო, მექრთამეობა ზოგადი ცნებაა და მოიცავს ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ (და არა ერთიან) დანაშაულს - ქრთამის აღებას და მიცემას.[12]

მექრთამეობა - კორუფციის ერთ-ერთი უძველესი და მეტად გავრცელებული ფორმაა. იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში განიხილება, როგორც ანგარებითი

---

[11] ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ., 1964, გვ. 34

[12] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 269

სამსახურეობრივი დანაშაული, როგორც სამსახურეობრივი ვალდებულებების დარღვევის ერთ-ერთი სახეობაა.[13] ქრთამი არ არის მხოლოდ ფულადი თანხა, არამედ სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები. ქრთამი შეიძლება იყოს: საქონელი, მათ შორის ვალუტა, საბანკო ჩეკები და ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, მანქანები, საკვები, ვიდეო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა პროდუქტები, ბინები, აგარაკები და სხვა უძრავი ქონება, მომსახურება და სარგებელი - მკურნალობა, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები და სხვა.

[13] თ. წერეთელი, სახელმწიფოსა და სამართლის კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, გვ. 260

თავი III. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული საფუძვლები

3.1. ქრთამი ძველ ქართულ სამართალში

სახელმწიფო (საჯარო) მოხელის ინსტიტუტი სათავეს პირველი სახელმწიფებრივი ჩანასახის დაარსებისთანავე იღებს. ამგვარ პირველ სახელმწიფოებრივ ჩანასახს საქართველოში კოლხა და დიაოხი წარმოადგენს. შესაბამისად, პირველი სამოხელეო თანამდებობებიც სწორედ ამ დროიდან ფიქსირდება და მას ერისთავები წარმოადგენდნენ.

მექრთამეობა ოდითგანვე უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. „ნუ მიიღებ ქრთამსა“ ჯერ კიდევ მოსეს სამართლიდან მოდის: „წყეულ იყავნ, რომელმან მიიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ“. ცნობილია, რომ სპარსეთის მეფე კამბიზმა მექრთამე მოსამართლე სიკვდილით დასაჯა, შემდეგ ბრძანა მკვდრისთვის ტყავი გაეძროთ და იგი მოსამართლის სკამზე გადაეკრათ, რათა ყველას, ვინც სავარძელში ჩაჯდებოდა, სცოდნოდა, რომ ქრთამის აღებისათვის მკაცრად დაისჯებოდა. როდესაც სპარტას მეფე დევტიქიდესმა თესალიაზე გაილაშქრა, მას შეეძლო ამ მხარის დამორჩილება, მაგრამ თესალიელებმა დევტიქიდესს ქრთამი მიუტანეს და მან ბრძოლის გაგრძელება აღარ ინდომა. მეფეს „თავის კარავში ზედ დანაშაულზე წაასწრეს, როდესაც ვერცხლით გატენილ სახელოზე იჯდა. იგი სამართალში მისცეს“, თუმცა სპარტიდან გაქცევით დააღწია თავი სასჯელს. სპარტელებმა მექრთამე მეფის სახლი მთლიანად „მოსთხარეს“ და გაანადგურეს.[14]

მექრთამეობა არც ქართულ სინამდვილეში ყოფილა უცხო. სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ ქრთამს „საცოდავ ძღვენს“ უწოდებს.[15] „საცოდავი“ ამ შემთხვევაში „ცოდვის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ე.ი. ქრთამი „ცოდვის“ სანაცვლოდ მირთმეული ძღვენია. ქრთამის ამღებს მისი მიმცემის სასარგებმოდ ცოდვა - დანაშაული ან სხვა ქმედება უნდა ჩაედინა.

ძველი სამართლის ძეგლები მოწმობენ, რომ მექრთამეობა საქართველოში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. ქართველი სჯულმდებლები მას ქვეყნის წინსვლის დამმუხრუჭებელ მოვლენად მიიჩნევდნენ და მკაცრად ებრძოდნენ. ქრთამის ქვეშ იგულისხმებოდა როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთა მიერ უკანონო მატერიალური გასამრჯელოს მიღება, ასევე გასამრჯელოს სანაცვლოდ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, დამნაშავისათვის თავდებად დადგომა და ა. შ.. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი

---

[14] ციტატები მოყვანილია ლ.აბრამიშვილი, დისერტაციიდან „ქრთამი ძველ ქართულ სამართალში“, თბ., 2010

[15] ს.ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ II, თბ., 1993

ეროვნული თუ უცხოური სამართლის ძეგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მექრთამე მოსამართლეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ სამართლის ძეგლებს წარმოადგენს, ჩამოთვლილია მოსამართლისათვის აუცილებელი თვისებები: ჭკუა-გონება, კანონების კარგი ცოდნა და პატიოსნება. სამართლის წიგნის მოთხოვნით, მოსამართლემ საქმის გარჩევისას ანგარიში არავის უნდა გაუწიოს, არავის ხათრი მოიდოს და რაც მთავარია, „ქრთამის ჩადებისათვის", ე. ი. ქრთამის შეპირებისათვის სიმართლეს არ უნდა უღალატოს, „მართალი სამართალი უნდა გააჩინოს". [16] სამწუხაროდ ჩვენამდე მოღწეული სამართლის წიგნის ფრაგმენტებით არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა სასჯელი იყო დაწესებული იმ მექრთამე მოსამართლისათვის, რომელიც „მართალ სამართალ არ გააჩენდა", თუმცა ეჭვგარეშეა, სასჯელი საკმაოდ მკაცრი იქნებოდა.

საინტერესოა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების" ის ნორმები, რომლებიც შეეხება მოწმეთა კეთილსინდისიერებას. მოწმეები უნდა იყვნენ პატიოსანნი, შეუსყიდველნი, რათა „მოწმობდნენ მართლად, უთნევად და უქრთამოდო".[17]

მექრთამეობის წინააღმდეგ მტკიცედ ბრძოლის მიუხედავად, ამ საშინელი სენის მთლიანად ამოძირკვა ისეთმა ძლიერმა ხელისუფალმაც კი ვერ შეძლო, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო. ამას მოწმობს მის მიერ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაწერილი ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, სადაც მეფე ქრთამს უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევს და ღმერთს ევედრება: მექრთამე, მეფიდან დაწყებული გლეხის ჩათვლით, „გონების, ცნობისა და ხედვისაგან ოხერ ყავო".[18]

„ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი", რომელიც XIV საუკუნის ძეგლს წარმოადგენს, შეიცავს მოსამართლეთა მექრთამეების წინააღმდეგ მიმართულ ნორმებს. მექრთამეობაში ეჭვმიტანილ მოსამართლეს მკაცრი გამოცდა ელოდა - მდუღარე წლით სავსე ქვაბიდან გავარვარებული რკინა უნდა ამოეღო და ამით უნდა დაედასტურებინა თავისი უდანაშაულობა. „მდუღარე წყლით გამოცდა ორდალის ერთ-ერთი სახე იყო, რომელიც დანაშაულში ეჭვმიტანილს განსაკუთრებულ შემთხვევებში ენიშნებოდა. „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი" მოსამართლის მიერ ქრთამის აღებას სწორედ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას მიაწერდა". [19] მექრთამე მოსამართლეს სწორედ ხელი უნდა დასწვოდა, რომლითაც ქრთამი აიღო და უსამართლო განაჩენი გამოიტანა. ორდალით გამოცდა არ იყო საბოლოო სასჯელი. თუ მოსამართლეს ხელი

---

[16] ლ. აბრამიშვილი, უქრთამო, პატიოსანი მოსამართლის სახე ძველ ქართულ სამართალში, ადამიანი და კოსტიტუცია", თბ., 2004, გვ.93-94

[17]ციტატა ნოყვანილია ლ.აბრამიშვილი, დისერტაციიდან „ქრთამი ძველ ქართულ სამართალში", თბ., 2010,

[18] იქვე

[19] ლ. აბრამიშვილი, უქრთამო, პატიოსანი მოსამართლის სახე ძველ ქართულ სამართალში, ადამიანი და კოსტიტუცია", თბ., 2004, გვ. 98

დაეწვებოდა და ქრთამის აღება დაუდასტურდებოდა, სასჯელის დასადგენად სასამართლოს გადაეცემოდა. ქრთამის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება კი უქმდებოდა და საქმე ხელახლა განიხილებოდა. რას სასჯელი იყო დაწესებული მოსამართლის მიერ ქრთამის აღებისთვის, ხსენებული სამართლის წიგნიდან არ ჩანს, თუმცა ორდალის ასეთი მკაცრი სახე - მდუღარე წყლით გამოცდა მოწმობს, რომ საბოლოო სასჯელიც მკაცრი იქნებოდა.[20]

როგორც აღნიშნული იყო ბექა-აღბუღას სამართლის წიგნშიც, ისევე როგორც სამართლის წიგნთა უმეტესობაში, ლაპარაკია არა მექრთამე მოხელეზე, არამედ უშუალოდ მექრთამე მოსამართლეზე. აქედან ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამართლის წიგნთა შემოქმედნი მოსამართლეთა პატიოსან საქმიანობას.

მძლავრად ფეხმოკიდებული ყოფილა მექრთამეობა XVII-XVIII საუკუნეებში, როცა „... მიღებითა ქრთამთა, ვითარცა ენებათ სჯიდნენ“. ქვეყანა უსამართლობის ჭაობში იყო ჩაფლული. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მიერ სამართლის წიგნის შემუშავებისა, რომელიც ჯერ ქართლში, შემდეგ კი მთელს საქართველოში მოქმედ სამართალს წარმოადგენდა. სჯულმდებელმა მეფემ შეადგინა კრებული, სადაც გარდა თავისი სამართლის წიგნისა, შეიტანა სხვა ქართული და ქართულად ნათარგმნი უცხოური სამართლის ძეგლები. ეს უკანასკნელნი გამოიყენებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრივ ვახტანგის კანონში არ იქნებოდა პასუხი მოსამართლისათვის საინტერესო საკითხზე. მეფის მიზანი იყო არავის გაემრუდებინა სამართალი „ქრთამით, გინა მოყვსობით ანუ სხვეფრივ რითმე მიდგომით“.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი კონკრეტულ დანაშაულთათვის გათვალისწინებულ სასჯელზე მითითებას ხშირად არ შეიცავდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლო ეხელმძღვანელა კრებულში შემავალი სხვა სამართლის წიგნებით.

3.2. სხვა ქვეყნის კანონმდებლობის გავლენა ძველ ქართულ სამართალში

ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ არაქართული სამართლის წიგნთაგან ყველაზე ხშირად მოსამართლენი „ბერძნულ სამართალს“ მიმართავდნენ. ბერძნული სამართალი ითვალისწინებდა ასევე მექრთამე საპყრობილეს უფროსის, ცრუ მოწმის და ა.შ. პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ ბერძნული სამართლის მიხედვით, ღარიბი კაცი საქმეზე მოწმედ არ დაიშვებოდა. „ღარიბთა კაცთა მოწმობა არ დაიჯერებისო“ - ვკითხულობთ ბერძნული კანონების ქართულ ვარიანტში.[21]

---

[20] ივ.ჯავახიშვილი, ქართულის სამართლის ისტორია, ტომი VII, გვ., 244

[21] ციტატა მოყვანილია ლ.აბრამიშვილი, დისერტაციიდან „ქრთამი ძველ ქართულ სამართალში“, თბ., 2010.

საინტერესოა ბერძნული სამართლის ინ ნორმა, რომელიც კრძალავდა მხარეთა მორიგებას სასამართლოს გვერდის ავლით, ქრთამის საფუძველზე. თუ დადგინდებოდა, რომ დამნაშავემ დაზარალებულს ქრთამი მისცა, რათა მისთვის არ ეჩივლა, ორივე სამართალში მიეცემოდა. დაზარალებული პასუხს აგებდა, „ვითარცა ქრთამის ამღები“.

XVIII საუკუნის მიწურულს შედგენილი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში, მექრთამეობას მძიმე, ქვეყნის დამღუპველ დანაშაულად მიიჩნევდა.

სამართლის წიგნის პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე იმ მოწმეთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ქრთამის სანაცვლოდ ცრუ ჩვენებას მისცემდნენ.

1921 წლიდან საქართველოს კანონმდებლობა, ძირითადად, ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ - საკავშირო კანონმდებლობის იდენტურად ვითარდებოდა. იგივე უნდა ითქვას სისხლის სამართლის კანონმდებლობაზეც.

საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თანამდებობრივი დანაშაულები ცალკე, II თავში იყო გაერთიანებული. აქ მოთავსებული იყო ისეთი დანაშაულთა შემადგენლობები, როგორიც არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (მ. 108), ხელისფლების გადამეტება (მ. 109), მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით უსამართლო განაჩენის დადგენა (მ. 114), სამსახურებრივი სიყალბე (მ. 119) და სხვა. ამავე კოდექსით ისჯებოდა ქრთამის აღება (მ. 117), ქრთამის მიცემა (მ. 117[1]) და ქრთამის პროვოკაცია (მ. 118). სს კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ, პირადად ან შუაკაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რაც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეადგენს“, ისჯება თავისუფლების აღკვეთითა არა ნაკლებ ერთი წლისა და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა: ა) პასუხსაგები მდგომარეობა ქრთამის მიმღები თანამდებობის პირისა, ბ) ქონებრივი ზარალი, რაც ქრთამის შედეგად სახელმწიფოს მოუვიდა ან შეიძლებოდა მოსვლოდა, გ) ქრთამისათვის სამართალში ყოფნა წინათა ან ქრთამის არაერთხელ აღება და დ) ქრთამის გამოძალვა. ასეთ შემთხვევებში დამნაშავე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში - სასჯელის უმაღლესი ზომით და ქონების კონფისკაციით. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კვალიფიციური შემადგენლობა, რომლისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა იყო დაწესებული, საკმაოდ ბუნდოვნად არის ფორმულირებული - ქრთამის აღება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. ამგვარად ფორმულირებული ქმედების შემადგენლობა და

მისთვის დაწესებული სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 80-იანი წლების ბოლომდე შემორჩა.[22]

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, ამჟამად მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, ქრთამის აღებისთვის დამახასიათებელი ნიშნები საკმაოდ მოკლედ იყო აღწერილი: „თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება, რა სახითაც უნდა იყოს იგი, - ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის, ამა თუ იმ ქმედების შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“. უფრო სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში.[23]

აქვე მინდა ავღნიშნო რომ, სამოხელეო დანაშაულმა ტერმინის ცვლილებაც კი მოახდინა. სამოხელეო დანაშაული ადრე ცნობილი იყო ტერმინი „კორუფციის“ სახელით, რომელსაც დღესაც ხშირად იყენებენ. ჩემს ნაშრომშიც იქნება გამოყენებული ტერმინი კორუფცია, ვინაიდან ტერმინი „სამოხელეო დანაშაული“ და „კორუფცია“ არაფრით არ განსხავავდებიან ერთმანეთისგან თავისი შინაარსით.

თავი IV. ქრთამის აღების შემადგენლობა

სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის შემადგენლობას განსაზღვრავენ როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ მოცემულ ქმედებას, როგორც კონკრეტულ დანაშაულს.

[22] ლ. აბრამიშვილი, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, დისერტაცია სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად , თბ., 2010, გვ. 160-161

[23] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 271

დანაშაულის შემადგენლობის ცნება მოიცავს ოთხი ჯგუფის ნიშანს, რომელთაც ეწოდება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები. ესენია: ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

დანაშაულის ოქბიექტია სისხლის სამართლით კანონით დაცული სიკეთე, ინტერესი, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიაყენეს ან შეიძლება მიაყენონ ზიანი.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიცავს ქმედების გარეგან დახასიათებას, რაც გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინბული სამართალსაწინააღმდეგო ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), რომელიც ზიანს აყენებს დანაშაულის ობიექტს ან ქმნის მისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს.

დანაშაულის სიბიქტია როგორც ფიზიკური შერაცხადი, ასევე იურიდიული პირი.

განსხვავებით ობიექტური მხარსაგან, დანაშაულის სიბიექტური მხარე შეიცავს ნიშნებს, რომლებიც ასახავენ დანაშაულის შინაგან შინაარს. ესენია ბრალის ფორმები განზრახვა და გაუფრთხილებლობა.[24]

დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება დაიყოს საშიშროებების მიედვით. ასეთი დაყოფისას სათვალავში ღებულობენ ხელყოფის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბექტური მხარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. განასხვავებენ დანაშაულის შემადგენლობის სამ სახეს: ა) დანაშაულის შემადგენლობის მარტივი ანუ ძირითადი სახე. ასეთი შემადგენლობა არ ითვალისიწნებს შემამსუბიქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ბ) დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიციური სახე ანუ შემადგენლობა დამამძიმებელი გარემოებებით. გ) დანაშაულის შემადგენლობა შემამსუბუქებელი გარემოებით.[25]

4.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

საზოგადოდ ადამიანის ქცევა და კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედება მრავალი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნით ხასიათდება. ეს ნიშნები ახასიათებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს. ეს ნიშნებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხი, იარაღი და საშუალება, ადგილი, დრო და ვითარება.

დანაშაულის ობიექტური მხარე სისხლისსამართებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი და თანაც მნიშვნელოვანი წინამძღვარია. საქართველოს სისხლის სამართლი დანაშაულად მიიჩნევს ადამიანის არა იდეებსა და აზრებს, არამედ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

---

[24]გ. ნაჭყებია და სხვები, სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 102-104
[25]იქვე, გვ. 105

ადამიანის კონკრეტული ქმედება ის ძირითადი ნიშანია, ურომლისოდაც არ არსებობს დანაშაული და ამიტომ გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხუსმგებლობა. დანაშაულებრივი ქმედების ასეთი მნიშვნელობის გამო სისხლის სამართალში დამკვიდრდა დანაშაულებრივი ქმედების ისეთი ცნება, რომელიც მოიცავს დანაშაულის ყველა სახესა და გამოვლინებას. დანაშაულებრივი ქმედების საერთო ცნება არის ქმედება როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანდასახული ქცევა.

ცნობილია, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს არა მარტო მოქმედებას, არამედ უმოქმედობას. უმოქმედობა არ გულისხმობს სრულ ობიექტურ უმოქმედობას არამედ გულისხმობს თავის შეკავებას განსაზღვრული მოქმედებისაგან. უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად მაშინ, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ემოქმედა და შეეძლო კიდევაც შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა.[26]

ადამიანის ქცევის ცნება უნდა განვასხვაოთ შედეგისაგან. დანაშაულის შედეგი შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დანაწილდეს: მატერიალური და არამატერიალური. თავის მხრივ მატერიალური შედეგი იყოფა ქონებრივი ხასიათის შედეგად და ზიანის მიყენება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. მეორე არამატერიალური შედეგი მდგომარეობს საწარმო-დაწესებულებათა ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და მოქალაქის პატივისა და ღირსების, მისი არაქონებრივი უფლებების ხელყოფაში.

ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონით დანაშაული დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე და არ მიუთითებს შემდგომ შედეგებზე.[27]

რაც შეეხება ობიექტურ მხარეს სისხლის სამართლის დანაშაულის, ქრთამის აღებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებაში ან მოთხოვნაში, ასევე, ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღებაში თავისი ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

---

[26]გ. ნაჭყებია და სხვები, სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 115-119
[27]იქვე, გვ. 120-121

ქრთამის აღების საფუძველზე შესრულებული მოქმედება შეიძლება ოთხი სახისა იყოს: 1) იგი შედიოდეს მოხელის სამსახურეობრივ უფლებამოსილებაში; 2) არ შედიოდეს სახელმწიფო მოხელის უშუალო უფლებამოსილებაში, მაგრამ მის ავტორიტეტსა და გავლენას შეეძლოს ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას; 3) სახელმწიფო მოხელემ სამსახურეობრივი მფარველობა გაუწიოს ქრთამის მიმცემს; 4) დაფაროს ქრთამის მიმცემის მიერ დაშვებული შეცდომები და არაკვალიფიციურო მუშაობა.

ზემოაღნიშნულ მოქმედებათაგან სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული და ტიპიურია პირველი ფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქრთამის ამღები, მოქმედებს რა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს ქრთამს გარკვეული მოქმედებისა და უმოქმედობისათვის.[28]

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ქრთამის აღების კანონისმიერი შემადგენლობა, კანონში შეტანილი ცვლილებებით ზედმიწევნით შესაბამისობაში მოვიდა კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 1999 წლის კონვენციის დებულებებთან. ეს დოკუმენტი თვლის, რომ კორუფციულ სამართალდარღვევაში გადამწყვეტი ფაქტორია არა ის, ჰქონდა თუ არა თანამდებობის პირს ქრთამის მიმცემის მიერ მოთხოვნილი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება, არამედ ის, მოხდა თუ არა ქრთამის შეთავაზება ან დაპირება მისი მხრიდან სამსახურის გაწევის სანაცვლოდ. თავად ქრთამის მიმცემმა შეიძლება არ იცოდეს აქვს თუ არა მოცემულ თანამდებობის პირს შესაბამისი უფლებამოსილება ამიტომ ამ ფაქტორს არსებითად არ თვლის ხსენებული კონვენცია.

თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულება მოიცავს სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების ნებისმიერ სახეს (ფორმას) მიუხედავად იმისა, სახელმწიფო თანამდებობის პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს, თუ მის გარეთ.

ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს სსკ 338-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია. ქრთამის აღებით შესაძლოა შესრულდეს როგორც კანონიერი, ისე უკანონო მოქმედება. პირველ შემთხვევაში, მოხელე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც კანონიერ ხასიათს ატარებს და მის სამუშაო ფუნქციაში შედის. მაგალითად, საბაჟოს მოხელე, რომლის სამსახურეობრივ მოვალეობაში შედის საქართველოს მოქალაქეთა მიერ შემოყვანილი ავტოტრანსპორტის საბაჟო ოპერაციის გაფორმება, ქრთამის აღების გამო, დოკუმენტებს რიგგარეშედ აფორმებს.

[28]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 213-214

ქრთამი შეიძლება აღებულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვისაც. მას განეკუთვნება მოხელის ყოველგვარი ქმედება, რაც კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სრულდება. მაგალითად, საბაჟო მოხელე საქართველოში ავტომანქანის შემოყვანისას, ქრთამის აღების გამო, ამცირებს მანქანის საბაჟო ღირებულებას ან ფაქტობრივად აფორმებს დოკუმენტს, მაგრამ ჩატარებულ ოპერაციას არ ასახავს დეკლარირებული საქონლის ანგარიშსწორების ერთიან მასივში. რა თქმა უნდა, უკანონო ქმედებისათვის ქრთამის აღების საშიშროება უფრო მაღალია და კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ქრთამის აღების მეორე ფორმისათვის დამახასიათებელია სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ანუ დამნაშავის შესაძლებლობა, თავისი ზეგავლენა მოახდინოს სხვა პირებზე, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან, რათა მიღებულ იქნეს ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება.[29]

ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ამსრულებლად გვევლინება ის სახელმწიფო მოხელე, რომელსაც, თუმცა არ აქვს უშუალო უფლებამოსილება განახორციელოს სათანადო მოქმედება ქრთამის მიმცემის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ სამსახურეობრივი მდგომარეობით შეუძლია მიიღოს ზომები სხვა მოხელის მიერ ამ ქმედების შესასრულებლად, თუგინდ ეს მოხელე სხვა უწყებაშიც საქმიანობდეს. ამგვარი ქმედება მოხელის მხრიდან ზეგავლენით ვაჭრობის კერძო შემთხვევაა.

ამ საკითხის ასეთი განვრცობითი განმარტება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ქრთამის ამღებ მოხელესა და იმ მოხელეს შორის, ვისზეც დამოკიდებულია ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა, ურთიერთობა ქრთამის ამღების სამართლებრივი მდგომარეობით არის განპირობებული.

ამიტომ პირადი ურთიერთობის გამოყენება, რასაც მოხელის სამსახურეობრივ მდგომარეობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენების ნიშანს და აქედან გამომდინარე, ასეთი ქმედება, სხვა სათანადო პირობების არსებობისას, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა ან ზეგავლენით ვაჭრობა.

ქრთამის აღების მესამე ფორმა დამნაშავის მიერ სამსახურებრივი მფარველობის განხორციელებაში გამოიხატება. ეს ქმედება მხოლოდ მაშინ ქმნის ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობას, როდესაც მფარველობა კონკრეტულად დანაშაულში ვლინდება.

---

[29]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 214-215

რაც შეეხება ქრთამის აღების მეოთხე ფორმას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ იგულისხმება ქრთამის ამღების მოხელის მიერ ქრთამის მიმცემის მიმართ დაშვებული დარღვევების, არაკვალიფიციურობის , არაკომპეტენტურობის დაფარვა.

ობიექტური მხრივ ქრთამის აღება დამთავრებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის მიღების ან მოთხოვნის, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან.

ქრთამის მოთხოვნას ადგილი აქვს მაშინ, როცა მოხელე პირდაპირ ან შენიღბულად აგრძნობინებს სხვა პირს, რომ მან უნდა გადაიხადოს თანამდებობის პირის მომსახურების სანაცვლოდ. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს გადაეცა თუ არა ქრთამის საგანი ან განხორციელდა თუ არა რაიმე ქმედება ამ თხოვნის სანაცვლოდ. მთავარია თვით თხოვნის არსებობა.

ქრთამის შეთავაზება გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როცა ქრთამის მიმცემი ავლენს მზადყოფნას უკანონო გასამრჯელო მისცეს მოხელეს ნებისმიერ მომენტში, რაზეც თანხმობას აცხადებს მოხელე.

ქრთამის დაპირება მოიცავს ისეთ შემთხვევას, როცა ქრთამის მიმცემი ვალდებულებას იღებს (პირობას დებს), რომ მოგვიანებით გადასცემს მოხელეს უკანონო გასამრჯელოს, რაზეც მოხელე თანხმდება, ანდა როცა ქრთამის მიმცემსა და ამღებს შორის წინასწარი შეთანხმება არსებობს იმის თაობაზე, რომ უკანონო გასამრჯელოს გადაცემა მოგვიანებით მოხდება. დაპირებად არ უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა მოხელე საორჭოფო პასუხს აძლევს ქრთამის მიმცემს და არ ჩანს დაპირების მიღების კონკრეტულობა. რაც შეეხება ქრთამის განმაპირობებელ ქმედების შესრულებას თუ შეუსრულებლობას, იგი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ რჩება. მთავარია დადგენილ იქნეს, რომ ქრთამი აღებულია გარკვეული მოქმედების შესასრულებლად ან მისი შეუსრულებლობისათვის.[30]

სასამართლო პრაქტიკაში რთული დასადგენია ქრთამის ამღების ხელში ქრთამის საგნის ფაქტობრივად გადასვლის მომენტი, თუ მოხელემ არ მიიღო ქრთამი ან უარი თქვა ქრთამის საგნის უფლების გადასვლაზე, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი კოდექსით, ვინაიდან თუ მოხელე არ მიიღებდა ქრთამს, სახეზე იყო მხოლოდ ქრთამის მიცემის მცდელობა. დღეს ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

ქრთამის აღების ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პრესტიჟი და ავტორიტეტი, ასევე მათი ნორმალური ფუნქციონირება.

---

[30]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 216-217

არაქონებრივი ხასიათის სიკეთის მიღება მოხელის სამსახურეობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქრთამი. ქრთამის საგანია ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ანდა სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა. ასევე ქრთამის საგანი შეილება ძვირფასეულობა და ნებისმიერი მატერიალური ნივთიმ რომელსაც გაცვლითი ღირებულება გაჩნია, იქნებ ეს ავეჯი, სახლი, მიწის ნაკვეთი, მანქანა, სასოფლო-სამოურნეო პროდუქტი თუ სხვა.[31] ფულის ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ლარი, არამედ უცხო ქვეყნის საფინანსო ბრუნვაში არსებული ვალუტაც.

ქრთამის საგნად არ ჩაითვლება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების ფული, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არ არის. რაც შეეხება ნუმიზმატიკურ ფასეულობას, იგი ამ მუხლით „ფულად“ არ ჩაითვლება, მაგრამ შეიძლება ქრთამის საგანი გახდეს, როგორც მუხლში მითითებული „სხვა ქონება“.[32]

რაც შეეხება ფასიანი ქაღალდის ცნებას, სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, ეს ის დოკუმენტია, რომელიც დადგენილი ფორმითა და სავალდებულო რეკვიზიტებით ადასტურებს ქონებრივ უფლებას. ამ უფლების განხორციელება ან მისი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენის საფუძველზე.

ფასიან ქაღალდ წარმოადგენს, მაგალითად, სახელმწიფო ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, სადეპოზიტო სერთიფიკატი, კონოსამენტი, აქციები, პრივატიზებული ფასიანი ქაღალდები და სხვა.

„სხვა ქონებაში“ იგულისხმება ყველანაირი მატერიალური ფასეულობა, რომელსაც გაცვლითი ღირებულება გააჩნია. მასში შედის სავალუტო ფასეულობაც, ძვირფასი ლითონები და სხვა.

„ქონებრივი სარგებლის“ ცნებაში შედის ყოველივე ის, რაც დამნაშავეს გადაეცემა სასყიდლის გარეშე. ეს შეიძლება იყოს ძვირფასი ნივთის იაფ ფასში შეძენა, უფასოდ ისეთი რამის მიღება, რაზეც თანხაა გადასახდელი, ასევე რემონტი, სარესტავრაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოს შესრულება.

არამართლზომიერ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ისეთი უპირატესობა, რომლის მოპოვების მართლზომიერი გზა არსებობს. მაგალითად, მოხელეს სთავაზობენ რომ

---

[31] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილსისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 271

[32] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 157

დაუმსახურებლად მიანიჭებენ საპატიო წოდებას, ან დაუწერენ დისერტაციას თუ ის ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის განახორციელებს რაიმე ქმედებას და სხვა.

ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ქონებრივ სარგებელს თითქოსდა კანონიერი სახე აქვს, მაგალითად, ის ნოტარიულად დამოწმებული იჯარის ხელშეკრულებაა, სესხია და სხვა. სინამდვილეში კი იგი ქრთამის აღების შენიღბული ფორმაა.

თანამედროვე პირობებში ქრთამის საგანმა სახე იცვალა და საკმაოდ გაფართოვდა. გამოვლინდა მექრთამეობის დანაშაულის ისეთი საგნები, რომლებიც ადრე არ არსებობდა. ესაა ფულადი სახსრების გადარიცხვა საბანკო ანგარიშიდან ნაღდ ანგარიშზე, ანგარიშის გახსნა უცხო სახელმწიფოს ბანკში, სავაჭრო ორგანიზაციის პრივატიზაცია, პირის „სპეციალისტებად“ გაგზავნა უცხოეთში მაღალი ანაზღაურებით და სხვა.[33]

კანონმდებლობით შეუძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მექრთამეობის ჩადენის მრავალი ხერხი. სასამართლო პრაქტიკა იცნობს ქრთამის აღების ორ ძირითად ფორმას: აშკარას და შენიღბულს. ქრთამის აღების აშკარა ფორმის დროს მექრთამეს პირდაპირ გადაეცემა ქრთამის საგანი. შენიღბული ფორმის დროს კი ქრთამის აღებას ფორმალურად კანონიერი ხასიათი აქვს. მაგალითად, სამუშაოს შეთავსება, პრემიის გაცემა და სხვა. ცხადია, ეს ხდება მაშინ, როდესაც პირი რეალურად არ მუშაობს, არ არის პრემიის ღირსი და სხვა.

ქრთამის აღებად დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როდესაც ქრთამი გადაეცემა მოხელის ოჯახის წევრს ან მის ახლობელს. მაგრამ ასეთი ქმედების ქრთამის აღებად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ მოხელემ ამის შესახებ იცოდეს და თანხმობა ქონდეს მიცემული.

სისხლის სამართლის კანონი არ მიუთითებს ქრთამის ამღებს და მიმცემს შორის წინასწარი შეთანხმების არსებობისა და ქრთამის გადაცემის დროზე. მექრთამეობაც ქმნის როგოც ქრთამი - მოსყიდვა, ისე - ქრთამი - ჯილდო. ქრთამის საფუძვლით, მოხელის მოქმედების განპირობებულობა აუცილებელი პირობაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. თუ ქრთამის აღება წინასწარ არ იყო დათქმული და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მოხელეს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მას ამ ქმედებისთვის ქრთამ-ჯილდოს გადასცემდნენ, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შემდგომში მისი დასაჩუქრება, გარკვეული პირობების არსებობისას, განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ქრთამის აღება, არამედ როგორც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.ზოგჯერ ამგვარი საჩუქრის მიღება საერთოდ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ

[33]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. გვ.212-213

მისი ღირებულება მცირეა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მოხელეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისროს .

ევროპის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1998 წლის დამტკიცებულ კონვენციაში. სახელდობრ, მასში აღნიშნულია, რომ დანაშაულად არ ითვლება სახელმწიფო მოხელის მიერ სიკეთის მიღება გარკვეული მოქმედების შესრულების შემდეგ, თუ არ არსებობდა წინასწარი წინადადება, თხოვნა ან მიღება.[34]

4.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

დანაშაულებრივი ქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმ ობიექტური პროცესის მხრივ განიხილება, რომელიც პირის ნებით იქნა გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს იმ კავშრის დადგენა , რომელიც პირის ნებელობით ქცევასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს, იმის მიუხედავად ითვალისწინებდა თუ არა იგი ამ ქმედების დანაშაულებრივ ანდა შეეძლო თუ არა გაეთვალისწინებინა ეს შედეგები.

დანაშაულის სუბიექტური მხარის შემადგენელი ნაწილი თავისებურად ასახავს დანაშაულის ფსიქიკურ შინაარსს. როგორც განზრახი ისე გაუფრთხილებლობითი ბრალის განსაზღვრებისას სათვალაში მიიღება ფსიქიკის ორი ელემენტი - ინტელექტუალური და ნებელობითი.[35]

ქმედების სუბიექტური მხარისთვის დამახასიათებელი ნიშნები ქმნის საფუძველს ბრალეული პასუხისმგებლობისათვის. ბრალის გარეშე არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ერთმანეითსგან განასხვავებენ განზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულს. თავის მხრივ განზრახი დანაშაული იყოფა ორ სახედ პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა, ხოლო გაიფრთხილებლობას ასევე ორი სახე აქვს: თვითიმედოვნება და დაუდევრობა.[36]

განზრახვა საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ორი სახისაა პირდაპირი და არაპირდაპირი. ხსენებული მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირი განზრახვა ასეა გასაზღვრული: „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული ქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა

[34]მ. ლეკვეიშვილი სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 213-218

[35]გ. ნაჭყებია და სხვები, სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 129.

[36]მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცება, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 130

მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.[37]

ამრიგან, კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის, ისე როგოც ბრალის სხვა ნაირსახეობისათვის, იყნებს ფსიქიკის ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს. პირდაპირი განზრახვის ნებელობითი მომენტი ხასიათდება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების სურვილით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არაპირდაპირია განზრახვის ის სახე, როდესაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახვისა ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, კერძოდ იმით, რომ აქაც კანონით აუცილებელია ქმედების მართსაწინააღმდეგობის გაცნობიერება. მაგრამ ინტერელქტუალური ელემენტის მეორე ნიშნის - მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის მიხედვით არაპირდაპირი განზრახვა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ნიშნისგან. უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი განზრახვისას გამორიცხულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების აუცილებლობის გათვალისწინება, რადგან ასეთი გათვალისწინება წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დამახასიათებელ ნიშანს.

ევენტუალური განზრახვის ძირითადი ნიშანია ის, რომ პირი ითვალისიწნებს მათლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ასეთ შესაძლებლობა გულისხმობს სხვადასხვა შინაარსის ფსიქიკურ დამოკიდებულებას. ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოვლინებაა ის შემთხვევა, როდესაც პირი შეგნებულად უშვებს თანამდევ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რადგან ურიგდება მისი დადგომის შესაძლებლობას.[38]

ქრთამის აღების სუბიექტური მხარეს პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, სახელდობრ ის, რომ იღებს ქრთამს ამა თუ იმ ქმედების შესრულებისთვის ან შეუსრულებლობისთვის, ან სხვა მოხელეზე ზემოქმედებისათვის, ან პირისათვის მფარველობის გაწევისათვის, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს იგი.[39]

---

[37] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999

[38] გ. ნაჭყებია და სხვები, სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 129-133

[39] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 218.

ქრთამის აღების განზრახვის შინაარსი უნდა შეიცავდეს ქრთამის აღებას ისეთ სიტუაციაში, როდესაც მან თავისი მოქმედებით ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს მუქარის ძალით საფრთხე შეუქმნა და აიძულა იგი ქრთამი მიეცა.

დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც წესი, ანგარებაა. მოხელეს სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიიღოს მატერიალური გამორჩენა: ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა.

ქრთამის აღების დანაშაულს ახასიათებს სპეციალური ამსრულებელი - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. სხვა პირი ამ დანაშაულში მხოლოდ თანამონაწილეა, რომელიც გამოდის ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის როლში.

კომერციული და სხვა კერძო ორგანიზაციის მუშაკი მოხელედ ვერ ჩაითვლება და ამიტომ უკანონო მატერიალური გამორჩენის მიღების შემთხვევაში, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით - კომერციული მოსყიდვა, სადაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი აღჭურვილია ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში.

კერძო სექტორში კორუფციის კრიმინალიზაციის მიზანი იყო მასთან ბრძოლის ზოგად სტრატეგიაში არსებული ხარვეზის გამოსწორება. არსებობდა სხვადასხვა გარემოება, რამაც განაპირობა კომერციული მოსყიდვის (221-ე მუხლის) ცალკე მუხლად ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ასევე განაპირობა კერძო ორგანიზაციებში არსებული კორუფციის დანაშაულის რანგში აყვანა ის იყო, რომ კანონმდებლობას უზრუნველეყო სამართლიანი კონკურენციის პრინციპისადმი პატივისცემა.[40]

[40] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“, თბ 2012, გვ. 218-219

თავი V. ქრთამის აღების მაკვალიფიცირებლი გარემოებები

სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებულია დამამძიმებელი გარემოებები, რომლის მიხედვითაც ქრთამის ამღებს უმძიმდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის, რაც გამოიხატება მისთვის დანიშნული სასჯელის გადიდებაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილით გულისხმობს პასუხისმგებლობას დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებას: ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ბ) დიდი ოდენობით, გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი: ა) მექრთამეობისთვის მსჯავრდებულის მიერ, ბ) არაერთგზის, გ) გამოძალვით, დ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ე) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.[41]

5.1. ქრთამის აღება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ და გამოძალვით

კონკრეტულად განსაზღვრული მოხელის - **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის** მიერ ქრთამის აღებამ, როგორც ერთ-ერთმა დამამძიმებელმა გარემოებამ, შეცვალა ძველი კოდექსით დადგენილი ქრთამის აღება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები თანამდებობა უკავია. ეს ცნება საკმაოდ ბუნდოვანი და განუსაზღვრელი იყო და ამიტომ მისი დადგენა სასამართლო პრაქტიკაში დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამჟამად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ცნება კანონშია მიცემული. აქ დანაშაულის საშიშროება გაზრდილია ქრთამის ამღების განსაკუთრებული პასუხსაგები მდგომარეობით; მას გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვს სხვა მოხელეებთან შედარებით და ამიტომ უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.[42]

338-ე მუხლის მიხედვით, მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განსახორციელებლად ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. აქ შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ვარიანტი:

---

[41] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999

[42] მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 219

1. ქმედება, რომელითაც დაინტერესებულია ქრთამის მიმცემი, უშუალოდ შედის მოხელის სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში და მის თანამდებობრივ უფლება-მოვალეობათა სფეროს განეკუთვნება. მაგალითად, გამომძიებელმა გასამრჯელოს სანაცვლოდ უკანონოდ გაათავისუფლა ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. პროკურორი რეაგირების გარეშე ტოვებს შემოსულ ინფორმაციას დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის შესახებ. უკანასკნელ შემთხვევაში მოხელე ქრთამის სანაცვლოდ არ ასრულებს იმ ქმედებას , რომლის შესრულებაც მას კანონით ევალებოდა.

2. ქრთამი მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელება უშუალოდ არ შედის ქრთამის ამღები მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ მას თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია უზრუნველყოს მისი შესრულება სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეზე გავლენის გზით. მაგალითად, მინისტრმა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელს სთხოვა მისი მეგობრის შვილის მაღალხელფასიან თანამდებობაზე დანიშვნა. სანაცვლოდ მან მეგობრისგან მიიღო გასამრჯელო.

3. ქრთამის ამღები მოხელე უშუალო სამსახურებრივი უფლება-მოვალეობებით, შესაძლოა, კიდევ უფრო დაშორებული იყოს იმ მოქმედებისაგან, რომელიც ქრთამის მიმცემს აინტერესებს. ამ მოქმედების განხორციელება სხვა დაწესებულების , სხვა უწყების, სხვა სისტემის მოხელის სამსახურეობრივ კომპეტენციას განეკუთვნება, მაგრამ ქრთამის ამღებს დაკავებული თანამდებობის ძალით, „თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის“ გამოყენებით, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სხვა პირზე, რომელიც მის დაქვემდებარებაში არ იმყოფება და ვამ გზით უზრუნველყოს ქრთამის მიმცემისათვის საჭირო მოქმედების შესრულება.

უკანასკნელ შემთხვევასთან დაკავშირებით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ქრთამის ამღებ მოხელესა და იმ მოხელეს შორის, ვისზეც დამოკიდებულია ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა, ურთიერთობა ქრთამის ამღების სამსახურებრივი მდგომარეობით არის განპირობებული.[43]

338-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის არ არის აუცილებელი ქრთამის სანაცვლოდ შესრულებული მოქმედება უშუალოდ შედიოდეს მოხელის სამსახურეობრივ კომპეტენციაში. მთავარია, რომ მოხელე იღებს გასამრჯელოს, რომლის სანაცლოდაც უზრუნველყოფს მისი

[43] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილსისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 275

მომცემის სასარგებლო მოქმედების შესრულებას და ამას აკეთებს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით.[44]

მექრთამეობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა მოქმედება, რომლითაც დაინტერესებულია გასამრჯელოს მიმცემი, არავითარ კავშირში არ არის მოხელის სამსახურეობრივ საქმიანობასთან, მაგრამ მან უზრუნველყო ამ მოქმედების განხორციელება სხვა მოხელის მიერ ამ უკანასკნელთან მეგობრული, ნათესაური ან სხვა პირადი კავშირების მეშვეობით და არა მისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით. მაგალითად, პარლამენტის წევრი სთხოვს დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია, ახლობლის სამსახურში დაწინაურებას. სანაცვლოდ პარლამენტის წევრს ახლობელმა მკურნალობის ხარჯები აუნაზღაურა. ამ შემთხვევაში პარლამენტის წევრი მოქმედებს არა როგორც მოხელე, არამედ როგორც კერძო პირი. იგი ფაქტიურად ყიდის თავის ზეგავლენას სხვა მოხელეზე ამიტომ პასუხი უნდა აგოს სსკ0ის 339[1]-ე მუხლით - ზეგავლენით ვაჭრობისათვის.

საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილით, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა **ქრთამის გამოძალვა,** გამოძალვად ითვლება მოხელის მიერ პირისათვის ქრთამის მოთხოვნა ისეთი მოქმედების განხორციელების მუქარით, რომელსაც ზიანი შეუძლია მიაყენოს როგოც ქრთამის მიმცემს, ისე მის ახლო ნათესავთა ინტერესებს.

გამოძალვისთვის დამახასიათებელია სუბიექტის მიზანი, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს სხვის ქონებას ან მოიპოვის საკუთრების უფლება გარკვეული სახის ქონებაზე. შესაბამისად დამნაშავე ორიენტირებულია მიიღოს მხოლოდ ქონებრივი სარგებელი. გამოძალვა ყოველთვის პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი და შეუძლებელია მისი არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენა, რადგან დამნაშავე ანგარებით მოქმედებს. გამოძალვის სუბიექტური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავისათვის ცნობილია ნივთის ან ქონების უფლების გადაცემის მოთხოვნის უკანონო ბუნება. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე კი, ქონების მესაკუთრისადმი ან ქონების მფლობელისადმი მოთხოვნის წაყენებაში გამოიხატება.[45]

ქრთამის მოთხოვნა შესაძლოა წინ უსწრებდეს დაზარალებულის კანონიერი ინტერესის დარღვევას ან პირის უფლებების უკანონო დარღვევის აღკვეთას.

ქრთამის გამოძალვა, ძირითადად, შესაძლოა მოხდეს სამი ფორმით:

---

[44] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 276

[45]http://freeuni.edu.ge/sites/default/files/gamodzalva.pdf

1) მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნა ისეთ მოქმედებათა განხორციელების მუქარის ხარჯზე, რომელსაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესს (მაგალითად, დაზარალებულის სამსახურიდან უკანონო დათხოვნა);

2) მოხელის მიერ ქრთამის მიმცემის ისეთ მდგომერობაში ჩაყენება, რომლის დროსაც იგი იძულებულია მისცეს ქრთამი, რათა თავიდან აიცილოს თავისი კანონიერი ინტერესისათვის მავნე შედეგი;

3) მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნა მისი მიმცემის კანონიერი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რომელიც მოხელეს შეეძლო და ვალდებულიც იყო რელურად განეხორციელებინა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გარეშე.[46]

გამოძალვის პირველი ფორმისათვის დამახასიათებელია ქრთამის პირდაპირი მოთხოვნა, რომელიც გამართლებულია ქრთამის მიმცემის კანონიერი ინტერესის შებღალვის მუქარით.

გამოძალვის მეორე ფორმა განსხვავდება პირველისაგან უფრო შენიღბული ხასიათით. ამ დროს არ არსებობს ქრთამის პირდაპირი მოთხოვნა და ქრთამის მიმცემის მიმართ აშკარა მუქარა, მაგრამ დამნაშავე ისე მოქმედებს, რომ დაზარალებულს აყენებს არჩევანის წინაშე - მისცეს ქრთამი ან საკუთარი ინტერესი დააყენოს საფრთხის ქვეშ.

მესამე ფორმა მდგომარეობს დამნაშავისათვის ქრთამის მიცემის მოთხოვნაში, მისი მიმცემის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ამ ფორმის დორს, თუმცა არ არსებობს დაზარალებულის უფლებების დარღვევის პირდაპირი მუქარა, მაგრამ იძულება შენიღბული ფორმით მაინც არის - თუ პირი არ დათანხმდება მისცეს მოხელეს ქრთამი, მისი კანონიერი ინტერესი დაირღვევა.

ქრთამის გამოძალვა არ იქნება, თუ დამნაშავე მოითხოვს ქრთამს იმ მუქარით, რომ ქრთამს მიმცემის მიმართ ჩაიდენს კანონიერ მოქმედებას (მაგალითად, დაითხოვს პირს სისტემატური გაცდენისათვის)

ადგილი არ ექნება ქრთამის გამოძალვას მაშინაც, როდესაც მოხელე ითხოვს ქრთამს, მაგრამ მას თან არ ახლავს ქრთამის მიმცემის მიმართ მისი უფლებების დარღვევის მუქარა.

ცხადია ქრთამის აღების შემადგენლობა ფორმალურია, ამიტომ გამოძალვაც, რომელიც თავისთავადაც ფორმალური დანაშაულია, დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნისთანავე. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების მიზანი გამოძალვის სუბიექტურ ნიშანში ვლინდება. მიაღწია თუა არა დამნაშავემ დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით

[46]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 223

ქრთამის აღებას, ამას ქრთამის გამოძალვის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელია ის, რომ დამნაშავეს ეს მიზანი გააჩნია.[47]

5.2. ქრთამის აღება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით

გარდა ამისა, ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მისი აღება დიდი ოდენობით. საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე, დიდი ოდენობით ქრთამის აღება გვექნება მაშინ, თუ ქრთამად მიღებული ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ათი ათას ლარს აღემატება. ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამად - თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.

ზუსტად უნდა დადგინეს ქრთამის ოდენობამ რადგან მასზეა დამოკიდებული 338-ე მუხლის რომელი ნაწილით მოხდება ქმედების კვალიფიკაცია, დიდი ოდენობით ქრთამის აღება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით - ამავე მუხლის მე-3 ნაწილით.

ქრთამის ოდენობის დადგენას მნიშვნელობა აქვს ასევე კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დამნაშავისათვის სასჯელის ზომის სწორად განსაზღვრისათვის. ქრთამად არ უნდა ჩაითვალოს მოხელისათვის ისეთი ნივთის გადაცემა ან შეპირება, რომლის ღირებულება მეტად დაბალია. ასეთ შემთხვევაში სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედებამ რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით ათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვწვია ისეთივ ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასმ ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“ (კოდექსი) მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგანმ თუ ნივთის გადამცემის სასარგებლოდ განხორციელებული მოქმედება სხვა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.[48]

338-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ზემოჩამოთვლილი ქრთამის აღების დამამძიმებელი გარემოებების გარდა, მოცემულია ასევე ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ამ

[47]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 224

[48] თ. ებრალიძე და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილსისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011, გვ. 273

მუხლის თანდართულ შენიშვნაში კი მითითებულია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებად ითვლება თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.[49]

5.3. ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, ამა თუ იმ შემადგენლობის აღწერისას, გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შთანხმებით და ორგანიზებული. სისხლის სამართლოს კოდექსის კერძო ნაწილის ეს პოზიცია განზოგადებულია ზოგადი ნაწილის 27-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული გჯუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. იგულისხმება მარტივი თანამონაწილეობის ისეთი სახე, როდესაც დანაშაულის ჩადენას იწყებს ერთპიროვნული ამსრულებელი, ხოლო ამ დანაშაულის დამთავრებამდე მას წინასწარი შეთანხმების გარეშე შემოუერთდებიან სხვა პირები (თუნდაც ერთი პირიც) და ერთობლივად დაამთავრებენ მას, თუმცა არაა გამორიცხული შეთანხმება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რაკი ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩასადენად წინასწარი შეთანხმება გამორიცხულია.[50]

ქრთამის აღების ამ მაკვალიფირებელ გარემოებასთან მიმართებით, მიზანშეწონილია დამატებით ზოგიერთი საკითხის განხილვა.

საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც არსებითად ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას და ამიტომ ქმნის სუბიექტურ საფუძველს ქრთამის აღების ყველა უშუალო მონაწილის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომელიც ჯგუფურ დანაშაულს განმარტავს, აღნიშნულია, რომ „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“.[51]

„წინასწარ შეთანხმებაში“ უნდა ივარაუდებოდეს ქრთამის აღების მიზნით ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რასაც ადგილი ქონდა დანაშაულის უშუალო განხორციელებამდე. ვინაიდან

---

[49]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 219-223

[50]იქვე, გვ. 221

[51]საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსი, თბ., 1999

განზრახი დანაშაულის დასაწყისად მიიჩნევა უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული ქმედება, წინასწარი შეთანხმება. ჯგუფური დანაშაულის ჩასადენად შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სტადიაზეც. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანაამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრთამის აღების თანამონაწილეობის ობიექტურ ნიშნებს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ორი ან მეტი პირის მონაწილეობა და, მეორე, ყველა მონაწილის მიერ ქმედების ერთობლივი ჩადენა, რაც დაკავშირებულია ქრთამის აღებასთან. დანაშაულებრივი შედეგი მიღწევა მისი ყველა მონაწილის გაერთიანებული ძალებით.

ამრიგად ქრთამის აღებაში თანამონაწილეობისას შემდეგი პირები უნდა იყოს სახეზე:

1) ქრთამის აღებაში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ ორი მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი;

2) მათ შორის ქრთამის აღებაზე შეთანხება მიღწეული უნდა იქნეს მის მიღებამდე; ან მოთხოვნამდე, ან დაპირების მიღებამდე.

3) ჯგუფის თითოეულმა მონაწილემ ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, უნდა შეასრულოს რაიმე ქმედება ან თავი უნდა შეიკავოს მისი შესრულებისგან;

4) ჯგუფის თითოეული წევრის მიზანს უნდა წარმოადგენდეს უკანონო მატერიალური გამორჩენის გარკვეული ნაწილის მიღება.

ზემოაღნიშნული დანაშაული დამთავრებულია, თუ ერთ-ერთმა თანაამსრულებელმა მაინც მიიღო ქრთამის საგანი ან მოსთხოვა, ან მიიღო დაპირება ქრთამის საგანზე. ის პრები, რომლებიც მოხელეები არ არიან, მაგრამ დანაშაულებრივ ჯგუფში შედიან, სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლზე მითითებით, პასუხს აგებენ როგორც ქრთამის აღებაში თანამონაწილენი.[52]

ქრთამის აღება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამამძიმებელი გარემოებაა, რომელიც გათვალისწინებულია 338-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ცნობილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა.

[52]მ. ლეკვეიშვილი და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2012, გვ. 221-222

ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას შეიძლება ჰქონდეს წინასწარი შეთანხმების ხასიათი, თუმცა იგი შესაძლებელია წინასწარი შეთანხმების გარეშეცმ დანაშაულის ჩადენის დაგილზე ამა თუ იმ სოციალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.[53]

ქრთამის აღება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამამძიმებელი გარემოებაა, რომელიც გათვალისწინებულია 338-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ცნობილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა.

საქართველოს სისხლის სამართლოს კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წი ნასწარ შეკავშირდენენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.[54]

5.4. ქრთამის აღება მექრთამეობისთვის მსჯავრდებულის მიერ და არაერთგზის

საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ იგი ჩადენილია მექრთამეობისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, განსაკუთრებით ამძიმებს პასუხისმგებლობას, თუ, ცხადია, ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის, ან დანაშაული ჩადენილია პირის თვრამეტი წლის ასაკს მიღწევამდე. მსჯავრდება მექრთამეობისათვის გულისხმობს დამნაშავის მიერ ადრე როგორც ქრთამის აღებას, ისე ქრთამის მიცემასაც. აქ საქმე გვაქვს სპეციალურ რეციდივთან, რაც ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ იმავე დანაშაულის ჩადენას.

საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას ქმნის ქრთამის აღება არაერთგზის. არაერთგზისობა დანაშაულის სიმრავლის, როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტის, სახესხვაობაა და მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 15-ე მუხლში. „არაერთგზისი დანაშაული ნიშავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისიწნებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

---

[53] გ. ნაჭყებია და სხვები, სისხლის სამართლის ზოადი ნაწილიმ, გამომც., „მერიდიანი“. თბ., 2007, გვ. 222
[54] საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსი, თბ., 1999

დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ქონდა."[55]

როდესაც პირს ადრეც ქონდა ქრთამი აღებული, მაგრამ პასუხისმგებლობა პირველად შეერაცხა, მის ქმედებას სისხლისსამართლებრივი შეფასება ცალ-ცალკე უნდა მიეცეს.

არაერთგზისობას არ ექნება ადგილი, თუ დამნაშავე მისთვის გადაცემულ მატერიალურ ფასეულობას იღებს ნაწილ-ნაწილ; ქონების გადაცემა გაწელილია დროში, მაგრამ მას საფუძვლად უდევს ერთიანი განზრახვა და მიზანი. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს განგრძობადი დანაშაული.

ერთიანი განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულის გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია დამნაშავის ქმედების ზუსტ კვალიფიკაციასთან. ამ საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ არა მარტო ობიექტური ფაქტორი, ის, რომ განგრძობად ქრთამის აღებაში ცალკეული, ერთი და იგივე დანაშაულებრივი აქტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთიანი დანაშაულის ჯაჭვის რგოლები, არამედ სუბიექტური ფაქტორითაც: ცალკეული დანაშაულებრივი აქტი თუმცა დროში გაწელილია, მაგრამ ერთიანი განზრახვითა და საერთო მიზნით არის მოცული.

ამრიგად, არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება დამნაშავის ისეთი მოქმედება, როდესაც მის მიერ განხორციელებული ქრთამის აღების თითოეული აქტი ქმნის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას და მათი ჩადენა ერთმანეთისაგან ნასამართლობითაა დაცილებული.

ქრთამის აღების დროს არ ექნება ადგილი არაერთგზისობას, თუ დამნაშავე რამდენიმე პირისაგან იღებს ქრთამს ერთდროულად, მაგრამ ერთი გარკვეული მოქმედების განხორციელებისათვის; სახელმწიფო მოხელის მიერ ადრე დათქმული ქრთამის თანხის გაზრდა და მისი დამატებით მიღება არ გვაძლევს არაერთგზისობის ნიშანს, თუ მოხელე ქრთამის მიმცემის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი და იმავე შედეგის მიღწევისაკენ ისწრაფვის.

აქვე მინდა აღინიშნოს რომ, სამართლიანობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის მსჯავრდება ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ ამ ქმედებისათვის ადეკვატური სასჯელის განსაზღვრაც. სასამართლო მხედველობაში უნდა იღებდეს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული განეკუთნება თუ არა განზრახ

[55]საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსი, თბ., 1999

მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, რომლის ჩადენისათვის კანონმდებლის მიერ უალტერნატივოდ სასჯელის სახედ გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ითვალისწინებს იმას, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, გარდა ამისა, სასამართლო ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ბრალდებულის კანონის შესაბამის ქცევაზე სასამართლოში საქმის განხილვისას და ასევე იმას, რომ არ არის ნასამართლევი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილრბას. ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს ქმედების კვალიფიკაციას.

თავი VI. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლა საზღვარგარეთის ქვეყნებში

ქრთამი მთელს მსოფლიოში მიიჩნევა საზოგადოებისათვის ერთ-ერთ საშიშ მოვლენად, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი როგორც სისხლის სამართლით ისე ადმინისტრაციული სამართლით.

6.1. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აშშ-ში

აშშ კორუფციასთან ბრძოლაში კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი პოლიტიკით გამოირჩევა. საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, რომ აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსი ფართო გაგებით განსაზღვრავს კორუფციის ცნებას, ვიდრე ევროპის სახელმწიფოები, სადაც არანაკლები ყურადღება ექცევა კორუფციის მნიშვნელობას. აშშ-ს კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელს აქტიურ და პასიურ მოსყიდვაზე ქრთამის სახით. სასჯელი შეადგენს აღებული ქრთამის სამმაგს ან თავისუფლების აღკვეთას 15 წლამდე ვადით. ასევე, შეიძლება გამოყენებული იქნეს დამატებითი სასჯელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით. თანამდებობის მქონე პირის მიერ გარკვეული ქმედების, თუნდაც იყოს ეს კანონიერი ქმედება „სტიმულისათვის“ თანხის/გასამრჯელოს აღების შემთხვევაში აშშ-ს კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმას, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს. ასევე თვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით ან ერთდროულად ორივეს.

ცალკე ნორმაა გათვალისწინებული აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსში ბანკის მმართველთათვის, რომელებიც მისცემენ გარკვეულ თანხას ან საჩუქარს ინსპექტორს ან ინსპექტორის თანაშემწეს ვინც ამოწმებს ბანკს. პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, იმოქმედა თუ არა ინსპექტორმა ბანკის სასარგებლოდ. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა 1 წამდე ვადით ან ჯარიმა, რომელიც ინსპექტორისადმი გადახდილი თანხის ტოლფასია. ასევე ჯარიმის გადახდა და თანამდებობიდან გათავისუფლება ემუქრება ინსპექტორსა, რომელმაც აიღო ქრთამი იმ ბანკისგან, რომელსაც ამოწმებდა ან უნდა შეემოწმებინა.

სპეციალური ნორმით რეგულირდება ასევე ფედერალური ბანკის სისტემის თანამშრომლის მოსყიდვა, კრედიტის მიღების სანაცვლოდ. ნორმა ითვალისწინებს ჯარიმას ერთი მილიონი დოლარის ოდენობით ან ბანკის თანამშრომლის შეთავაზებული ქონების, თანხის, ძვირფასეულობის, აგრეთვე მოთხოვნილი ან უკვე მიღებული კრედიტის სამმაგს,

გათვალისწინებულია აგრეთვე თავისუფლების აღკვეთა 30 წლამდე ან ორივე ერთად. თუ ქრთამის ოდენობა არ აღემატება 1000 დოლარს, მაშინ თავისუფლების აღკვეთა არ გამოიყენება.

სისხლის სამართლის დანაშაულია აგრეთვე თანამდებობაზე დანიშვნის სანაცვლოდ მოთხოვნილი ან მიღებული თანხა ან ქონება. დამანაშავე ისჯება ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით, რომელიც მიღებული თანხის ან ქონების ტოლფასია ან ორივე ერთად, გამონაკლისი დაშვებულია სპეციალურ აგენტთათვის, რომლებსაც დავალებული აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში ან დაიკავონ თანამდებობა.

ანტიკორუფციული კანონმდებლობა ძალიან მკაცრია. ქრთამის, როგორც სამოხელეო დანაშულისთის გათვალისწინებულია - ქრთამის რაოდენობაზე სამჯერ მეტი ჯარიმა, ან 15 წლიანი პატიმრობაც კი. ასევე, აშშ-ში არსებობს სიტუაციები, როდესაც ორმაგ ჯარიმაზე პლიუს 20 წლამდე პატიმრობაც ვრცელდება. „ქრთამის აღება, უკანონო შემოსავალი და ინტერესთა კონფლიქტი“, აშშ-ისკოდექსის 18-ე მუხლით განისაზღვრა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის გათვალისწინებული იმ თანამდებობის პირზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ითხოვს ქრთამს, იღებს მას. კანონის თანახმად, თანამდებობის პირს მხოლოდ ხელისუფლებისგან შეუძლია ანაზღურება მიიღოს. ეს დარღვევა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ანტიკორუფციული კანონმდებლობა სისტემური ხასიათისაა და შედგება სამართლებრივი აქტებით, რომლებიც არეგულირებენ ლობირებას, საბანკო და გაცვლით საქმიანობას. შეერთებული შტატების ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ის არის, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირი, გამონაკლისის გარეშე, ისჯება თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ. აშშ-ის ანტიკორუფციული კანონმდებლობის კიდევე ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში. ეს პოლიტიკა ეფუძნება ადმინისტრაციული მორალის დანერგვას, რომელიც არის ეთიკური და დისციპლინური ნორმების შერწყმა. სახელმწიფო სამსახურის ეთიკის პირველი კოდექსი 1958 წელს მიიღეს. ეს იყო რეკომენდაცია, მაგრამ შემდეგ საფუძველი გახდა ამერიკის საჯარო მოხელეთა ადმინისტრაციული ეთიკის სამართლებრივი რეგულირების. აღსანიშნავია, რომ 1962 წლის „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ”კანონი აშშ-ს კონგრესმა მიიღო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეთა ქცევის ოფიციალური სტანდარტები. პრეზიდენტმა ჯონსონმა თავისი განკარგულებით დააწესა ქცევის სტანდარტები და თანამდებობის პირთა ეთიკური სტანდარტები. 1978 წელს მათ მიიღეს კანონი "სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლების ეთიკის შესახებ". პრინციპები სავალდებულოა ყველა საჯარო მოსამსახურესათვის. ისინი შეიცავენ უამრავ შეზღუდვებს: პირადი მიზნებისათვის ხელისუფლების ინფორმაციის გამოყენება არ შეიძლება; ვერ მიიღებენ საჩუქრებს და ჯილდოებს იმ ადამიანებისგან, ვინც მათთან ურთიერთობაშია, კორუფციის

ყველა ფაქტი სასამართლოს უნდა ეცნობოს. დამრღვევებს შეიძლება დაეკისროთ: სრული ან ნაწილობრივი დისკვალიფიკაცია, ჩამოქვეითება, შეუჩერდეს საეჭვო ფინანსური კავშირები. სახელმწიფო მოსამსახურეთა საშუალო შემოსავალი არ უნდ ააღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს 15% -ს. პენსიაზე გასვლის შემდეგ ორი წლის განმავლობაში HS-ს აქვს რიგი შეზღუდვები მათი საქმიანობის შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოწმის დაცვის შესახებ კანონი მიღებულ იქნა ანტიკორუფციული ღონისძიებების ფარგლებში.[56]

6.2. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში

დიდ ბრიტანეთში კორუფციასთან ბრძოლა რეგულირდება 1889 წელს გამოცემული კანონით „მექრთამეობა სახალხო ორგანიზაციებში“ და 1906 და 1916 წელს გამოცემული „კორუფციის პრევენციის“ კანონით.

პირველი კანონით გათვალისწინებულია დასჯადი ქმედება - „ქრთამის მოთხოვნა ან მიღება, ან თანხმობა გასამრჯელოს, საჩუქრის, ქონების ან ნებისმიერი ნივთის მიღებაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ქრთამის მიმღების გადაწყვეტილებაზე, ქმედებასა ან უმოქმედობაზე. აღნიშნული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით, რომელიც მიღებული ქრთამის ან გასამრჯელოს ტოლფასია. დამატებით პირს ეკრძალება დაიკავოს თანამდებობა და მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა 7 წლით, განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ეკრძალება თანამდებობის დაკავება სამუდამოდ, ასევე თავისუფლდება პენსიისგანაც ან კომპენსაციისაგან რომელიც შეიძლება დანიშვნოდა თანამდებობის გათვალისწინებით.

1916 წლის კანონით დამატებით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ქრთამი, გასამრჯელო ან საჩუქარი გაცემული ან შეპირებულია ცენტრალური ხელისუფლების ან სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ. აღნიშნული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 7 წლამდე ვადით.

ბრიტანეთის კანონმდებლობით ისჯება ასევე მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების თვითნებური მოსყიდვა. პირი რომელიც თავაზობს მოსამართლეს ან სასამართლოს თანამშრომელს ქრთამის, გასამრჯელოს ან ანაზღაურებას გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ და ეს უკანასკნელი მიიღებს მას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით ან ჯარიმით. რაც შეეხება კორუფციას ფინანსურ ბაზარზე, კანონი ავალდებულებს თითოეულ ფინანსისტს დაუყონებლივ შეატყობინოს ძალოვან სისტემას ნებისმიერი საეჭვო ოპერაციის

[56]Наказание за взяточничество в разных странах мира. https://ria.ru/20081209/156824060.html

შესახებ. თუ ფინანსისტი ან ბანკირი ამას არ იზამს, დაეკისრება პასუხისგებლობა როგორც დანაშაულში თანამონაწილეს.

დიდ ბრიტანეთში კორუფცია გულისხმობს "ქრთამის აღებას ან მიღებას ან შეთანხმებას, მიიღოს საჩუქარი, სესხი, ჯილდო ან სხვა რამე, რომელსაც აქვს ღირებულება, როგორც დასაქმებულის წახალისება, ან თავი შეიკავოს რაიმე" ქმედებისგან. თუ საჯარო მოხელეები ხელახლა დაიჭირეს, მათ ჩამოერთმევათ მათი ოფიციალური უფლებები სამუდამოდ და ასევე პენსიის უფლებაც. ასევე ბრიტანეთის ანტიკორუფციულ კანონმდებლობაში განსაზღვრულია მოსამართლეებისა და სასამართლოს წარმომადგენლების მოსყიდვა. არსებობს პრაქტიკა ბრიტანეთის იურიდიულ სისტემაში, რომელიც ავალდებულებს ფინანსურ ექსპერტებს საეჭვო გარიგებების შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადონ. 1994 წელს, შეიქმნა დამოუკიდებელ მრჩეველთა კომიტეტი საზოგადოებრივი ცხოვრების დონის შესახებ, ნოლანის თავმჯდომარეობით. საკონსულტაციო კომიტეტი რეკომენდაციით არ განიხილავს ქცევის სტანდარტების ინდივიდუალურ დარღვევებს, მაგრამ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეული მონაწილეობის ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბებას. თანამდებობის პირთა სახელმწიფო მუშაობის 7 პრინციპია განსაზღვრული: სავალდებულოობა, მთლიანობა, ობიექტურობა, ანგარიშვალდებულება, ღიაობა, პატიოსნება, ხელმძღვანელობა. მათი დარღვევები არ იწვევს სამართლებრივ დევნას.[57]

საფრანგეთის კანონმდებლობა კი ითვალისწინებს სასჯელს სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელობის და ასევე, თანამშრომლების მიმართ ქრთამის აღების შემთხვევაში. სასჯელს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას 7 წლამდე ვადით. ხოლო მაღალი თანამდებობის პირთათვის 10 წლამდე. გარდა ამისა საფრანგეთის კანონმდებლობა უკრძალავს თანამდებობის პირებს მიიღონ რაიმე სახის საჩუქარი. წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2-დან 10 წლამდე ვადით ან ჯარიმა. თანამდებობის ბოროტად გამოყენება საფრანგეთში ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით. ეს სასჯელი გაორმაგდება იმ შემთხვევაში თუ ქრთამის აღებას მოჰყვება რაიმე სახის შედეგი.

ანტიკორუფციული კანონმდებლობა ეხება საჯარო მოხელეების ოფიციალური გადაცდომის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს იღებენ. ასევე ინტერესთა სფეროა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც იყენებენ საარჩევნო კამპანიების ფინანსიებისა და ჩატარების უკანონო მეთოდებს. კორუფციის თავიდან ასაცილებლად ფრანგული ანტიკორუფციული კანონმდებლობა მოქმედებს. უფრო ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ჯარიმები. ყველა თანამდებობის პირის (მინისტრებისა და პარლამენტის წევრების) შემოსავლის

[57]Наказание за взяточничество в разных странах мира. https://ria.ru/20081209/156824060.html

ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა არარსებობს და სამსახურეობრივი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ საქმიანობის შეზღუდვა ნაკლებად მკაცრად კონტროლდება. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო მოხელეებს, მათი სტატუსის დაკარგვის გარეშე. ასევე დასაშვებია ადგილობრივ დონეზე არჩეული პოზიციის მუშაობის კომბინირება. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გამოაქვეყნონ მონაცემები პარტიის ხარჯების შესახებ.[58]

კანადაში კი სახელმწიფო მოხელე, სასამართლოს თანამშრომელი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რომელიც მიიღებს ან დათანხმდება მატერიალური გასამრჯელოს სანაცვლოდ შეასრულოს გარკვეული ქმედება ან გახდეს ამგვარი ქმედების თანამონაწილე, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 14 წლამდე. ანალოგიური სასჯელია გათვალისწინებული პოლიციის კომისართათვის და სხვა პირთათვის რომლებიც მუშაობენ სამართალდამცავ ორგანოებში და რომლებიც გარკვეული თანხისა და გასამრჯელოს სანაცვლოდ ხელს შეუშლის მართლმსაჯულებას, ხელს დააფარებს დამნაშავეს და სხვა.

6.3. ქრთამის აღების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება გერმანიაში, იტალიასა და ფინეთში

გერმანიაში თანამდებობის პირებს, რომლებიც მოითხოვენ ან მიიღებენ რაიმე სახის გასამრჯელოს ფულის ან ქონების სახით, გაწეული ან შეპირებული საქმის სანაცვლოდ ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით ან ჯარიმას. იგივე ქმედება ჩადენილი მოსამართლის ან საარბიტრაჟო მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. აღნიშნული ქმედება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე ვადით ან ჯარიმას.[59]

თუ თანამდებობის პირი მოითხოვს ან მიიღებს რაიმე სახის გასამრჯელოს ან თანხას მის მიერ გაწეული სამსახურისთვის და ეს აღემატება მის კომპეტენციის ფარგლებს და უფლებამოსილებას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 6 თვიდან 5 წლამდე ვადით. გაცილებით მკაცრად ისჯება იგივე ქმედება ჩადენილი მოსამართლის ან საარბირტრაჟო მოსამართლის მიერ, აღნიშნული ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1-დან 10 წლამდე ვადით. შემამსუბუქებელი გარემოებების შემთხვევაში კი მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით 6 თვიდან 5 წლამდე ვადით.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ქრთამის გამოძალვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც თანამდებობის პირი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, თავისი

---

[58] ჯ. ყურაშვილი, კორუფციული დანაშაულის ძირითადი წარმომქმნელი ფაქტორები, ნაშრომი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ 2019, გვ. 46-48

[59]Наказание за взяточничество в разных странах мира. https://ria.ru/20081209/156824060.html

თანამდებობის ბოროტად გამოყენებით აიძულებს ან არწმუნებს სხვას გადაუხადოს ან შეპირდეს, მას ან მესამე პირს დაუმსახურებელი თანხა ან რაიმე ღირებული, ასეთი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 12 წლამდე. ქრთამის აღებისთვის პასუხისმგებლობა, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განსხვავებულია და დამოკიდებულია ქმედების ხასიათზე, იმაზე თუ რისთვისაა აღებული გასამრჯელო.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია სამი ქმედება სხვადასხვა მუხლებით: ქრთამის აღება - დაკავებული თანამდებობის კომპეტენციის ფარგლებში ჩადენილი ქმედებისათვის; ქრთამის აღება - დაკავებული თანამდებობის პირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ და ქრთამის აღება სასამართლოში.[60]

ფინეთში სახელმწიფო მოხელეების მხრიდან კორუფციული დანაშაულის ჩადენისათვის ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სასჯელს: ჯარიმით დაწყებული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დამთავრებული. ამასთანავე პირი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და ეკრძალება თანამდებობის დაკავება გარკვეული დროის განმავლობაში - 2 თვიდან 4 წლამდე.

ყველაზე რადიკალურ ზომებს კი იყენებს კორუფციასთან ბრძოლაში აზიის ქვეყნები. მაგალითად: ჩინეთში ქრთამის აღებისთვის შეიძლება სიკვდილით დასჯა. ასეთი რადიკალური ზომა ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსში 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს. დახვრეტა ტარდება საჯაროდ. ასეთი განაჩენი წელიწადში რამდენიმე ათასიც კი შეიძლება იყოს. მათ შორის შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირიც და მსხვილი კომპანიის მენეჯერიც. ქრთამის აღებისთვის სიკვდილით სჯიან კუბაშიც.[61]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოს კანონით დარეგულირებული ქრთამის აღებისთვის სასჯელი დიდად არ განსხვავდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან, ერთ-ერთი თვალსაჩინო განსხვავებაა ის რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არის განსაზღვრული სასჯელის სახე და რაოდენობა და ის არ არის დამოკიდებული იმაზე თუ რა რაოდენობის და სახის ქრთამს აიღებს მოხელე, რასაც ვერ ვიტყვით მაგალითად აშშ-ზე სადაც სასჯელი შეადგენს აღებული ქრთამის სამმაგს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში უფრო კონკრეტიზირებულია ქრთამის ამღებ პირთა წრე მაგალითად: აშშ-ში - ბანკის მმართველები და ზოგადად სახელმწიფოს მმართველები და სხვა, დიდ ბრიტანეთში - მოსამართლეები, საფრანგეთში საჯარო მოხელე და მაღალი თანამდებობის პირები. მაშინ როცა საქართველს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე

[60] Наказание за взяточничество в разных странах мира. https://ria.ru/20081209/156824060.html
[61]იქვე

მუხლში მითითებულია უფრო ზოგადად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

მართალია ძალიან ცნობილი ფაქტია ის რომ საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად გავს და ეყრდნობა გერმანულ კანონმდებლობას, თუმცა მაინც მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით რეგულირებული ქრთამის აღების დისპოზიცია და სასჯელის სახე ძალიან გავს გერმანულს და იტალიურს.

ასევე აქვე მინდა ვთქვა, რომ არ ვეთანხმები იმ ქვეყნების კანონმდებლობას, სადაც ქრთამის აღებისთვის სიკვდილით დასჯაა გათვალისიწნებული, მაშინ როცა ცივილიზებულმა მსოფლიომ წლების განმავლობაში მრავალი ეტაპი გამოიარა არ უნდა ირღვეოდეს საყოველთაო ჰუმანურობის პრინციპი, სიცოცხლის უფლება და რაც მთავარია, სასჯელის მიზანი - რესოციალიზაცია.

თავი VII. ქრთამის აღების სტატისტიკა

ქრთამი არსებობს იმ დროიდან რაც ფული არსებობს და არა მხოლოდ ფული, ვინაიდან ქრთამი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქონებრივი სარგებელი არამედ ნებისმიერი სახის არაქონებრივი ხასიათის სიკეთის მიღება, მათ შორის: ფასიანი ქაღალდები სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ანდა სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა და ა.შ.

რაც დრო გადის და მსოფლიო ვითარდება ქრთამის სახეობებიც უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება, ამას ვხედავთ ქრთამის აღების ისტორიული განვითარების გაანალიზებისას, რითაც შეიძლება ითქვას რომ ქრთამის საგანი „იხვეწება“.

ქრთამის აღების შემთხვევები წლიდან წლამდე და თვიდან თვემდეც კი იზრდება. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის მონაცემებით იანვარ-ივნისში სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 42.86%-ით გაიზარდა.

კერძოდ 2019 წელს ამ დანაშაულის - 40, ხოლო 2018 წლის იანვარ-ივნისში 28 ფაქტი დაფიქსირდა.

ზოგადად სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა კი 2019 წლის 1-ელ ექვს თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.84%-ით არის გაზრდილი. კერძოდ, თუ 2019 წლის სააგარიშო პერიოდში სამოხელეო დანაშაული 287 ფაქტი დაფიქსირდა, 2018 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 341 იყო.

ამასთან, უწყების ცნობით, სტატისტიკურად 2019 წლის იანვარ-ივნისში სამოხელეო დანაშაულის რეგისტრირებული ფაქტებიდან ყველაზე მეტი - 149 შემთხვევა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ეხება. გარდა ამისა, 40 - ქრთამის აღების, 42- სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, 33 სამსახურებრივი გულგრილობის, 17 - სამსახურებრივი სიყალბის და 6 - ქრთამის მიცემის შემთხვევა დაფიქსირდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში საჯარო მოხელეთა მხრიდან ქრთამის აღების ფაქტები 56%-ით არის გაზრდილი.

2019 წლის იანვარ-მაისში პოლიციამ სულ ასეთი 36 საქმე აღრიცხა, 30% არის გახსნილი.

ქრთამის აღება სამოხელეო დანაშაულის კატეგორიაში გადის. ამ კატეგორიაში ასევე შედის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი გულგრილობა, სამსახურებრივი სიყალბე და სხვა კატეგორიების დანაშაულები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის იანვარ-მაისში ამ ჯგუფის სულ 248 საქმე აღრიცხა, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.6%-ით ნაკლებია.

საქართველის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით იანვრის თვეში სამოხელეო დანაშაულის 48 რეგისტრირებული დანაშაულიდან 3 ქრთამის რომელთაგან სამართალდამცავი ორგანოების მიერ გახსნილი არც ერთი არ არის. თებერვლის თვის მონაცემებით სამოხელეო დანაშაულის 66 რეგისტრირებული დანაშაულიდან 3 ქრთამის აღებაა და 2 გასნილია. მარტის თვის მონაცემებით სამოხელეო დანაშაულის 45 რეგისტრირებული შემთხვევიდან 3 ქრთამის აღეებაა და არც ერთი არ არის გახსნილი. აპრილის თვის მონაცემებით სამოხელო დანაშაულის 30 რეგისტრირებული შემთხვევიდან არც ერთი არ არის ქრთამის აღების დანაშაული, ხოლო მაისის თვის მონაცემებით სამოხელეო დანაშაულის 39 რეგისტრირებული დანაშაულიდან ერთია ქრთამი და ისიც გახსნილი არ არის.

ჩემი აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქრთველოა მსგავსი რაოდენობის დანაშაული საკმაოდ ბევრია. ეს მხოლოდ ის რაოდენობაა რაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ არის გამოვლენილი.

თავი VIII. კვლევის შედეგი

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლემა აჩვენა, რომ სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას. სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი სახე კი ქრთამის აღებაა, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია სამოხელო დანაშაულებს შორის.

ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროს არსებითი გარდაქმნის პერიოდში, ადგილობრივი ორგანოების სწორ და გამართულ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქრთამის აღება როგორც დანაშაულის საშიშოება იმით არის განპირობებული, რომ იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას.

მექრთამეობა ზოგადი ცნებაა და მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ დანაშაულს ქრთამის აღებას და ქრთამის მცემას. მექრთამეობა არის ერთიანი რთული ორმხრივი დანაშაული.

მექრთამეობა კორუფციის ერთ-ერთი უძველესი და მეტად გავრცელებული ფორმაა, ოდითგანვე უმძიმეს დანაშაულად ითვლება და მკაცრად ისჯებოდა. ქრთამი ჯერ კიდევ მოსეს სამართლიდან მოდის. მეფე კამბიზის დროს მექრთამე მოსამართლეს სიკვდილით სჯიდნენ.

მექრთამეობა ქართულ სინამდვილეშიც არ იყო უცხო, თურმე ჯერკიდევ სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ ქრთამს „საცოდავ ძღვენს“ უწოდებდა. ძველი სამართლის ძეგლები მოწმობენ, რომ მექრთამეობა საქართველოში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. საუკუნეების წინაც კი ქართველი სჯულმდებლები მას ქვეყნის წინსვლის დამმუხრუჭებელ მოვლენად მიიჩნევდნენ და მკაცრად ებრძოდნენ.

მექრთამეობას ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა ჯერკიდევ ბაგრატ კურაპალატის დროს, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, რომელიც XIV საუკუნის ძეგლს წარმოადგენს, ვახტანგ VI-ის დროს, XVII-XVIII საუკუნეებში, XVIII საუკუნის მიწურულს შედგენილი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში. რაც შეეხება, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, ამჟამად მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით მასში ქრთამის აღებისთვის დამახასიათებელი ნიშნები საკმაოდ მოკლედ იყო აღწერილი.

ასევე ნაშრომის კვლევისას ერთმანეთისგან გავმიჯნე ქმედების შემადგენლობები, ქრთამის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა.

ქრთამის აღების ობიექტური მხარე გამოიხატება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებაში ან მოთხოვნაში.

ქრთამის შეიძლება აღებულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვისაც. მას განეკუთვნება მოხელის ყოველგვარი ქმედება, რაც კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სრულდება. ქრთამის მოთხოვნას ადგილი აქვს მაშინ, როცა მოხელე პირდაპირ ან შენიღბულად აგრძნობინებს სხვა პირს, რომ მან უნდა გადაიხადოს თანამდებობის პირის მომსახურების სანაცვლოდ. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს გადაეცა თუ არა ქრთამის საგანი ან განხორციელდა თუ არა რაიმე ქმედება ამ თხოვნის სანაცვლოდ. მთავარია თვით თხოვნის არსებობა.

ქრთამის აღების სუბიექტურ მხარე კი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, სახელდობრ ის, რომ იღებს ქრთამს ამა თუ იმ ქმედების შესრულებისთვის ან შეუსრულებლობისთვის, ან სხვა მოხელეზე ზემოქმედებისათვის, ან პირისათვის მფარველობის გაწევისათვის, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს იგი.

ასევე, რაც ერთ-ერთი მნიშველოვანია, რომ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისიწნებული დანაშაული ერთ-ერთია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ იმ დანაშაულთაგან რომელსაც ახასიათებს სპეციალური ამსრულებელი-მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

ქრთამის აღების შემადგენლობა ფორმალურია და ამიტომ დანაშაული დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნისთანავე.

ასევე აღსანისნავია ისიც, საქათველოს სისხის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებები ერთამნეთისგან ბევრი სხვადასხვა ნიშნით განირჩევა, რომელიც დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის შესაძლებლობას გვაძლევს, ამიტომ როგორც ნებისმიერი თემის კვლევისას ასევე ჩვენი კონკრეტული მუხლის კვლევისას საჭირო გახდა იმ განმასხვავებელი ნიშნების წინ წამოწევა რაც ერთმნიშვნელოვნად ამ ერთ-ერთ დანაშაულს ახასიათებს.

კვლევის შედეგად დადგინდა თუ რა განსხვავება და მსგავსება აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის - ქრთამის აღებას ევროპის სხვა ქვეყნებთან. ასევე თვალსაჩინო გახდა ის, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში უფრო კონკრეტიზირებულია ქრთამის ამღებ, როგორც დამნაშავე პირთა წრე.

ასევე კველებმა, სტატისტიკებმა, სასამართლო გადაწყვეტილბებმა გვაჩვენა, რომ ქართამის აღება საკმაოდ გავრცელებულ დანაშაულია და ამას ადასტურებს სასამართლოში გამომამტყუნებელ გადაწყევიტებათა სტატისტიკა, ასევე საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სამსახურის, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების კვლევები და ნაგარიშები.

დაბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ თემის კვლევისას თვალსაჩინო გახდა და გამოიკვეთა ის რომ ძველი ქართულის სამართლით რეგულირებული ამ დანაშაულის ჩამდენთა წრე უფრო კონკრეტული იყო და სასჯელებიც განსხვავებული იყო, მაგალიტად ქრთამის აღებისთვის სხვადასხვანაირად ისჯებოდნენ მოსამართლეები, სახელმწიფო მოხელეები და ა.შ ისევე როგორც ახლა ზოგიერთ საზღვარგარეთის ქვეყნებშია, მაგალითად, აშშ-ში ქრთამის აღებისთვის სხვადასხვა სასჯელი განისაზღვრება ბანკირებისთვისმ მოსამართლეებისთვის და ა.შ, რაცას ვერ ვიტყვით თანამედროვე ქართულ სამართალზე, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირებულ ქრთამის აღების მუხლი ზოგადია და ამ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონი ერთნაირად სჯის დამნაშავეს მისი სოციალური, თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედაად.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მექრთამეობა საზოგადოების არსებობის მანძილზე მისი მუდმივი თანმდევი მოვლენა იყო. იგი მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მძიმე კორუფციულ დანაშაულთა ჯგუფს, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურას, ამუხრუჭებს ეკონომიკური განვითარების პროცეს, ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ საფუძველს და ქმნის კორუფციულ გარემოს. მექრთამეობამ, როგორც სოციალურმა მოვლენამ, არათუ ამოწურა თავისი თავი, არამედ, პირიქით, ახალი ძალით წარმოჩინდა და დამყუპველ მოვლენად იქცა ქვყნისთვის. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს მექრთამეობის ზრდას, რისი მიზეზიც შეგვიძლია ვეძებოთ მოუწესრიგებელ კანონმდებლობაში, აღმასრულებილის ცუდ მექანიზმში და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაციები იძლევიან არაერთ რეკომენდაციას იმისათვის, რომ ქვეყნებში შემცირდეს ზოგადად კორუფციის დონე. ხოლო ქვეყნები და მათ შორის საქართველოც არ ასრულებენ რეკომენდაციებს სრულყოფილად და რასაც ასრულებს იმასაც ცუდი მექანიმებით. მექრთამეობა და ზოგადად კორუფცია იმდენად გავრცელებული დანაშაულია და იმდენად ურტყავს სახელმწიფოს პრესტიჟს, რომ საჭიროა ანტიკორუფცილი საბჭოს შექმნა, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და გამოიძიებს მექრთამეობასთან დაკავშირებულ საქმეენს და რომელიც არის ერთ-ერთი უპირველესი რეკომენდაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ვინაიდან საქართველო უერთდება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს ვალდებულებებს და ცდნილობს იყოს ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა, ვფიქრობ უპირველესად მან უნდა დახვეწოს კანონმდებლობა, უნდა იზრუნოს სამართალდამცავი ორგაოების გადამზადებაზე, რათა ეფექტური იყოს მათი მუშაობა.

ვინაიდან წლების მანძოლზე „იხვეწება“ ქრთამის როგორც დანაშაული და მისი სახეები იცვლება, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის დახვეწაც. ნებისმიერი სახის რეკომენდაცია უნდა შესრულდეს რეალურად და არ უნდა ჰქონდეს მას ფორმალური სახე.

IDFI გამოააქვეყნა რეკომენდაციას საქართველოსთვის რომ, ქვეყანამ ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური, რომელიც გულისხმობს დამოუკუდებელი ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას. ამ სამსახურის შექმნის შემთვევაში ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს ანტიკორუფციული პოლიტიკა და პრაქტიკა, მოსთხოვოს საჯარო სამსახურს სპეციალური სამოქმედო გეგმების და სახელმძღვანელოების წარმოება და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას, შეიმუშაოს ანტიკორუფციული სახელმძღვანელოები და ქცევის კოდექსები, განახორციელოს ანტიკორუფციული რისკების კვლევა, განახორციელოს თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგი, საზოგადოებრივი აზრის კვლევა და განავითაროს ინფორმაციის სხვა წყაროები, საჯაროდ გაავრცელოს ინფორმაცია ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ და ა.შ.[62] როგორც ჩანს, რეკომენდაციის ძირითადი მიზანია მაქსიმალური ჩართულობა პროცესებში, როგორც პარლამენტის, მთავრობის, სხვადასხვა სტრუქტურების, ასეცე საზოგადოების. კონკრეტული რეკომენდაციები ეფექტური საშუალება იქნება თუ ისინი შესრულებული იქნება რეალურად და არა ფორმალურად.

ჩემი აზრით, იმისათვის რომ სახელმწიფო იყოს გამართული, წარმატებული, კორუფცია ნაკლები, ამისთვის უპირველესად უნდა გაიზარგოს საზოგადოებაში თვითშეგნება, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი სფეროს წარმატებისთვის. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ყველაზე საშიშ კორუფციულ დანაშაულს - ქრთამს ყველა კარი დაუკეტოს და ეს ყველაფერი აკეთოს ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანთა უფლებები.

[62] https://idfi.ge. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები, 2017, გვ. 33-34

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. აბრამიშვილი. ლ., უქრთამო, პატიოსანი მოსამართლის სახე ძველ ქართულ სამართალში, ადამიანი და კოსტიტუცია“, თბ., 2004;
2. აბრამიშვილი. ლ., ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, დისერტაცია სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად , თბ., 2010;
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012;
4. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004;
5. ებრალიძე. თ და სხვები, კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომც. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილსისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბ., 2011;
6. ლეკვეიშვილი. ლ და სხვები., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012;
7. მაყაშვილი. ვ, ტყეშელიაძე. გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ.,1964;
8. ნაჭყებია. გ და სხვები., სისლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007;
9. ს.ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“;
10. ტურავა. მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცება, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013;

11. ყურაშვილი. ჯ., კორუფციული დანაშაულის ძირითადი წარმომქმნელი ფაქტორები, ნაშრომი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019;

12. ჯავახიშვილი. ივ., ქართულის სამართლის ისტორია , ტომი VII;

13. წერეთელი. თ., სახელმწიფოსა და სამართლოს კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008;

ნორმატიული აქტები:

14. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1995 წლის 4 ნოემბერი;

15. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995 (ახ. რედ.);

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;

17. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, ქუთაისი., 2015;

ვებ. გვერდები

18. http://freeuni.edu.ge/sites/default/files/gamodzalva.pdf;

19. htts://kpfu.ru/docs/F769475982/2_Xalil_korub.pdf;

20. Наказание за взяточничество в разных странах мира. https://ria.ru/20081209/156824060.html;

21. https://matsne.gov.ge;

22. http://www.library.court.ge;

23. https://idfi.ge. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები, 2017